პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 42 (5442) | სამშაბათი, 21 თებერვალი 1939 წ. | ფასი 10 კაპ.

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი ა:

საქ. კ. პ. (ბ) XII ყრილობის დელეგატების საყურადღებოდ (1-ლი გვ.).
ბოლშევიკურად აღვზარდოთ საბჭოთა ინტელიგენცია (მოწინავე)
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვ.)
ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა დაჯილდოება (1-ლი გვ.)
ახალი სახელოვანი გამარჯვებებით შევხვდეთ ლენინ-სტალინის პარტიის XVIII ყრილობას (1-ლი გვ.)
მზადება წითელი არმიისა და წითელი სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXI წლისთავისათვის (მე-2 გვ.).
საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში (მე-2 გვ.).
შრომა სსრ კავშირში დიდებით არის მოცული („პრავდის“ მოწინავე. მე-2 გვ.)
ს. ფაშალიშვილი. სოფელი კვერნაკის ქედთან (ფელეტონი. მე-3 გვ.).
უცხოეთი:
რუზველტის გამოსვლა (მე-4 გვ.)
ინგლისი და გენერალი ფრანკო (მე-4 გვ.).

საქ. კ. პ. (ბ) XII ყრილობის დელეგატების საყურადღებოდ

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ

საქართველოს კ. პ. (ბ) XII ყრილობა

გაიხსნება 26 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაში

ყრილობის დღის წესრიგი:

1. ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების თეზისებზე საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

2. ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისებზე საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის — საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილებათა შესახებ.

3. საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის დელეგატების არჩევნები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი

კ. ჩარკვიანი

○

ყრილობის დელეგატებზე მანდატების გაცემა იწარმოებს 24 და 25 თებერვალს დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე და 26 თებერვალს დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე ორგკომისიის შენობაში (შიო ჩიტაძის ქ. № 5, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის შენობის პირდაპირ).

ორგკომისიის ტელეფონები: 3-66-20, 3-19-82.

ბოლშევიკურად აღვზარდოთ საბჭოთა ინტელიგენცია

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხანაგების ვ. მოლოტოვისა და ა. ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები, რომლებსაც უდიდესი ინტერესით იხილავენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები—მუშები, გლეხები და ინტელიგენტები, წარმოადგენენ სოციალიზმის გამარჯვების ბრწყინვალე დოკუმენტებს. ისინი გამოხატავენ ჩვენი ბედნიერი ხალხის სურვილებსა და მისწრაფებებს, ისინი ასახავენ იმ დიად ცვლილებებს, რომლებიც მოხდა სოციალიზმის გამარჯვების შედეგად ჩვენს ქვეყანაში. ძირფესვიანად შეიცვალა ჩვენი მუშათა კლასი, გლეხთა კლასი და ინტელიგენცია. სსრ კავშირის მშრომელთა შორის, როგორც ეს ამხ. ა. ჟდანოვის მოხსენების თეზისებშია ნათქვამი, „... კლასობრივი ზღუდეები... ჰქრება, ეცემა და ჰქრება ეკონომიური და პოლიტიკური წინააღმდეგობანი...“

პარტიამ და მთავრობამ განვლილი პერიოდის მანძილზე შექმნეს და გაზარდეს მსოფლიოში ჯერ არნახული, სრულიად ახალი ინტელიგენცია, რომელიც გამოსულია მასების სიღრმიდან და მჭიდროდ დაკავშირებულია ამ მასებთან. საბჭოთა ინტელიგენცია გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის თანასწორუფლებიანი წევრია, იგი ჩვენი ქვეყნის მუშებთან და გლეხებთან ერთად ჩაბმულია ძლევამოსილი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ფერხულში და ყოველდღიურად ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს.

საბჭოთა ინტელიგენტების არმია ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს უდიდესი ძალაა. „ჩვენს ინტელიგენციას,—ნათქვამია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 ნოემბრის დადგენილებაში, — საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაზრდილს, შეადგენენ სახელმწიფო აპარატის კადრები, რომელთა დახმარებითაც ეწევა მუშათა კლასი თავის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ესენი არიან გუშინდელი მუშები და გლეხები და მუშათა და გლეხთა შვილები, რომელნიც ხელმძღვანელ პოსტებზე დაწინაურდნენ“. ამიტომ ამ ინტელიგენციისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება, მისი შეიარაღება მსოფლიოს გარდამქმნელი, მოწინავე რევოლუციური თეორიით — მარქსიზმ-ლენინიზმით —ჩვენი ყოველდღიური საბრძოლო ამოცანაა.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები ენერგიულად იბრძვიან ინტელიგენციის ბოლშევიკურად აღზრდისათვის, მარქსიზმ - ლენინიზმის უძლეველი თეორიით მისი შეიარაღებისათვის. ინტელიგენციის დაინტერესება ლექციებითა და მოხსენებებით, მრავალრიცხოვან ლექციებსა და მოხსენებებზე მისი დიდი რაოდენობით დასწრება და აქტიური მონაწილეობა, ხშირად სიარული კონსულტაციებზე, მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურისადმი ინტერესის ზრდა, ცხადად ადასტურებენ იმას, თუ რა დიდია ინტელიგენციის მისწრაფება მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისადმი.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტმა უკვე ჩაატარა ხუთი ფასიანი მაღალკვალიფიციური ლექცია. თვითეულ ლექციას ესწრებოდა 600-ზე მეტი მსმენელი. თეორიულ ლექციებს დიდი ინტერესით ისმენენ პროფესორები, ექიმები, ინჟინრები, ეკონომისტები, საბჭოთა მოსამსახურეები, სამხედრო პირები და სხვ.

თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში 150 ინტელიგენტიდან 60 უკვე დამოუკიდებლად მეცადინეობს ბოლშევიზმის დასაუფლებლად. ამხანაგები გ. გაჩეჩილაძე, შ. კუპატაძე, ვ. მარკოვი და სხვ. გულდასმით სწავლობენ პარტიის ისტორიას. თბილისის კიროვის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ინტელიგენტები — ა. მოსეშვილი, ნ. მაქსიმოვი, ფ. ჩესანიკი და სხვ. პარტიის ისტორიას პირველწყაროებით სწავლობენ.

თბილისის 26 კომისრის რაიკომის პარტკაბინეტი ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ დამოუკიდებლად შემსწავლელთა შორის. ბოლო ხანებში თვალსაჩინოდ იმატა პარტკაბინეტში კონსულტაციებზე ექიმების, ინჟინრების, მასწავლებლების და სხვ. რიცხვმა. ასე, მაგალითად, ამხანაგები კარტაშვილი, არუშანოვი, ელბაქიძე და სხვ. ხშირად დადიან პარტკაბინეტში ამა თუ იმ საკითხზე დახმარების, კონსულტაციის მისაღებად. დიდი და განუზომელია ინტელიგენტთა მისწრაფება სამყაროს გარდამქმნელი, მოწინავე თეორიის შესწავლისადმი.

რევოლუციური თეორიის დაუფლებაში ინტელიგენციას პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა და დახმარება ესაჭიროება. ამ დარგში ჩვენ ჯერ კიდევ დიდი ნაკლოვანებები გვაქვს. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია საკმაოდ არ სწავლობს თავისი წარმოების, თავისი დაწესებულების ინტელიგენციას, არ იცნობს ინტელიგენციის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ თელავის აბრეშუმის ძაფსალები ფაბრიკის პარტორგანიზაცია. აქ პარტიულმა კომიტეტმა ისიც კი არ იცის, რამდენი ინტელიგენტია წარმოებაში, არ იცის, ვინ როგორ მუშაობს თავისი პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის. ასეთი მდგომარეობაა ზოგ სხვა პირველადს პარტორგანიზაციაშიც. ზოგიერთ ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკს ჯერ კიდევ არ ესმის, რომ პარტიული ორგანიზაცია პასუხისმგებელია ინტელიგენციის პოლიტიკური აღზრდისათვის.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან უფრო მეტი დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიონ საბჭოთა ინტელიგენციას, შეუქმნან მას ყველა პირობა იდეური დონის ამაღლებისათვის, სისტემატურად მოაწყონ ინტელიგენციისათვის მაღალკვალიფიციურ ლექტორთა, მარქსისტული განათლების მქონე ადამიანთა ლექციები და კონსულტაციები ბოლშევიკური პარტიის ისტორიის ცალკეულ საკითხებზე.

იდეოლოგიურად გამოვაწრთოთ ჩვენი კადრები, პარტიული და არაპარტიული ინტელიგენტები, აღვზარდოთ ისინი ბოლშევიკური სულისკვეთებით—ასეთია ამოცანა.

მფრინავ-გამომცდელის ნიკოლოზ თედორეს-ძე პოპოვის დაჯილდოება „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით

საფრენოსნო კადრების მომზადების დარგში წარმატებითი მუშაობისა და მრავალი წლის უნაკლო საფრენოსნო სამსახურისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ა.-წ. 19 თებერვლის ბრძანებულებით მფრინავ-გამომცდელი ნიკოლოზ თედორეს-ძე **პოპოვი** დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით. (საქდესი).

ამხ. ა. ა. ჟდანოვის სახელის მიკუთვნება ქ. ირკუტსკის აღმოსავლეთ-ციმბირის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ა.-წ. 19 თებერვლის ბრძანებულებით აღმოსავლეთ-ციმბირის სახელმწიფო უნივერსიტეტს ქ. ირკუტსკში მიეკუთვნა **ამხ. ა. ა. ჟდანოვის** სახელი. (საქდესი).

სსრ კავშირის ორდენებით და მედლებით დაჯილდოებული „ტყიბულქვანახშირის“ მუშაკები: ზევით: ვ. ს. ცირეკიძე — დაჯილდოებულია ლენინის ორდენით; ქ. რ. ბეშკენაძე და დ. ნ. ჩიკვაიძე—„შრომის წითელი დროშის“ ორდენით; ბ. ა. თოდიძე, მ. ს. ჩხიკვაძე—„საპატიო ნიშნის“ ორდენით; ნ. ს. ბაიდაშვილი, შ. ე. ფურცხვანიძე, ს. თ. სიხოვი და დ. ი. ტრუფანოვი—მედლით „შრომითი მამაცობისათვის“; გ. ნ. გორგიძე და ი. ე. ცირეკიძე,—მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“.

ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 17 თებერვლის ბრძანებულებით, ქვანახშირის მრეწველობის აღმავლობის საქმეში განსაკუთრებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულნი არიან ქვანახშირის მრეწველობის მუშაკები.

მათ შორის „ტყვარჩელქვანახშირის“ და „ტყიბულქვანახშირის“ ხაზით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააჯილდოვა:

„ტყვარჩელქვანახშირის“ ხაზით:

ლენინის ორდენით

1. ნიკოლოზ დიმიტრის-ძე **ხუნტუა** — სტალინის სახელობის შახტის მთხრელი.

„შრომის წითელი დროშის“ ორდენით

1. სტეფანე იოსების-ძე **მოისეენკო** — სტალინის სახელობის შახტის მყელავი მემანქანე.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. სერგეი ვასილის-ძე **ვორობიოვი** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ მმართველი.

2. გედეონ გიორგის-ძე **გურგენიძე** — სტალინის სახელობის შახტის მთხრელი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. ეგორ კუზმას-ძე **ვორონინი** — სტალინის სახელობის შახტის ცხენგამყოლი.

2. ალექსანდრე ანდრიას-ძე **გვილავა** — სტალინის სახელობის შახტის მებიგე.

3. ივანე ანდრიას-ძე **მამონტოვი** — სტალინის სახელობის შახტის ბრიგადირი — ყრილმნგრეველი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. ვიქტორ ივანეს-ძე **გარანკო** — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ მთავარი ინჟინერი.

2. ლევან პავლეს-ძე **კოკაია** — მფეთქებელი, სტალინის სახელობის შახტი.

3. პრასკოვია ნიკიტას-ასული **შანტალია** — სტალინის სახელობის შახტის გაზმზომი.

„ტყიბულქვანახშირის“ ხაზით:

ლენინის ორდენით

1. ვასილ სტეფანეს-ძე **ცირეკიძე** — მნგრეველი, ლენინის სახელობის შახტი.

„შრომის წითელი დროშის“ ორდენით

1. ქსენეფონტე რაჟდენის-ძე **ბეშკენაძე** — მნგრეველი, სტალინის სახელობის შახტი.

2. დიმიტრი ნესტორის-ძე **ჩიკვაიძე** — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის“ მმართველი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. ბიძინა ალექსის-ძე **თოდიძე** — ლენინის სახელობის შახტის უბნის უფროსის თანაშემწე.

2. მატრონა სტეფანეს-ასული **ჩხიკვაძე** — სტალინის სახელობის შახტის მეჯალამბრე.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. ნიკოლოზ სტეფანეს-ძე **ბაიდაშვილი** — საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი.

2. შალვა ესტატეს-ძე **ფურცხვანიძე** — მნგრეველი, სტალინის სახელობის შახტი.

3. სერგეი თევდორეს-ძე **სიხოვი** — მნგრეველი, ლენინის სახელობის შახტი.

4. დიმიტრი იაკობის-ძე **ტრუფანოვი** — მნგრეველი, სტალინის სახელობის შახტი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. გრიგოლ ნიკოლოზის-ძე **გორგიძე** — ლენინის სახელობის შახტის გამგე.

2. თევდორე ნიკიტას-ძე **რილინი** — ქვანახშირის მრეწველობის მთავარ სამმართველოს ინჟინერ-დისპეტჩერი ტრესტ „ტყიბულქვანახშირის“ ხაზით.

3. იოველ ერემიას-ძე **ცირეკიძე** — ლენინის სახელობის შახტის ათისთავი. (საქდესი).

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

დონბასის ქვანახშირის შახტების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივების დაჯილდოების შესახებ

ქვანახშირის ამოღების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა, სტახანოვური მუშაობის ორგანიზაციისა, ციკლურობის მაღალი მაჩვენებლებისა და სამუშაოთა ფრონტის კარგი მომზადებისათვის დაჯილდოებულ იქნან შემდეგი შახტების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივები:

ლენინის ორდენით

1. „სტალინუგოლის“ კომბინატის ტრესტ „სნეჟნიანანტრაციტის“ სტალინის სახელობის № 18 შახტისა.

2. „სტალინუგოლის“ კომბინატის ტრესტ „არტემუგოლის“ შახტის „ალექსანდრ-ზაპადისა“.

3. „სტალინუგოლის“ კომბინატის ტრესტ „სნეჟნიანანტრაციტის № 9 შახტისა.

„შრომის წითელი დროშის“ ორდენით

1. „სტალინუგოლის“ კომბინატის ტრესტ „არტემუგოლის“ კალინინის სახელობის შახტისა.

2. „სტალინუგოლის“ კომბინატის ტრესტ „კრასნოარმეისკუგოლის“ დიმიტროვის სახელობის № 5-6 შახტისა.

3. „სტალინუგოლის“ კომბინატის ტრესტ „კრასნოარმეისკუგოლის“ შევჩენკოს სახელობის შახტისა.

4. „სტალინუგოლის“ კომბინატის ტრესტ „სნეჟნიანანტრაციტის“ № 10 შახტისა.

5. „სტალინუგოლის“ კომბინატის ტრესტ „სტალინუგოლის“ № 5 შახტისა.

6. „სტალინუგოლის“ კომბინატის ტრესტ „სნეჟნიანანტრაციტის“ № 19 შახტისა.

7. „სტალინუგოლის“ კომბინატის ტრესტ „სოვეტსკუგოლის“ № 7 შახტისა.

8. „ვოროშილოვგრადუგოლის“ კომბინატის ტრესტ „კიროვუგოლის“ № 22/6 შახტისა.

9. „ვოროშილოვგრადუგოლის“ კომბინატის ტრესტ „ბოკოვანტრაციტის“ № 53 შახტისა.

10. „ვოროშილოვგრადუგოლის“ კომბინატის ტრესტ „ბოკოვანტრაციტის“ № 15 შახტისა.

11. „ვოროშილოვგრადუგოლის“ კომბინატის ტრესტ „ლისიჩანუგოლის“ შახტის „კრემენაიასი“.

12. „ვოროშილოვგრადუგოლის“ კომბინატის ტრესტ „სვერდლოვუგოლის“ ლენინის სახელობის № 9 შახტისა.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. „ვოროშილოვგრადუგოლის“ კომბინატის ტრესტ „ვოროშილოვუგოლის“ შახტის „დელტა“ II.

2. „ვოროშილოვგრადუგოლის“ კომბინატის ტრესტ „ვოროშილოვუგოლის“ შახტის „სუტაგანისა“.

3. „სტალინუგოლის“ კომბინატის ტრესტ „სნეჟნიანანტრაციტის“ № 4 შახტისა.

4. „სტალინუგოლის“ კომბინატის ტრესტ „სნეჟნიანანტრაციტის“ № 15 შახტისა.

5. „სტალინუგოლის“ კომბინატის ტრესტ „სტალინუგოლის“ № 17 შახტისა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1939 წლის 17 თებერვალი.

ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ქვანახშირის მრეწველობის აღმავლობის საქმეში განსაკუთრებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია ქვანახშირის მრეწველობის მთავარ სამმართველოს და სსრ კავშირის ქვანახშირის შემდეგი კომბინატებისა და ტრესტების 1.197 მუშა, ინჟინერ-ტექნიკოსი და ხელმძღვანელი მუშაკი: „სტალინუგოლი“, „ვოროშილოვგრადუგოლი“, „როსტოვუგოლი“, „კუზბასუგოლი“, „მოსკოვუგოლი“, „ურალუგოლი“, „კარაგანდუგოლი“, „ვოსტსიბუგოლი“, „დალუგოლი“, „სრედაზუგოლი“, „ტყიბულქვანახშირი“, „ტყვარჩელქვანახშირი“, „ვოსტუგოლი“ და „ხაკასუგოლი“.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 64 კაცი, „შრომის წითელი დროშის“ ორდენით — 116 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 186 კაცი, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 297 კაცი, მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 534 კაცი. (საქდესი).

ახალი სახელოვანი გამარჯვებებით შევხვდეთ ლენინ-სტალინის პარტიის XVIII ყრილობას

ახალქალაქის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ვალდებულებანი

ახალქალაქი, ახალქალაქის სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა მისასალმებელი დეპეშით მიმართეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ კ. ჩარკვიანს და საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ვ. ბაქრაძეს.

— შევიკრიბენით რა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მოწვევისადმი მიძღვნილ რაიონულ თათბირზე, — სწერენ ახალქალაქის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავენი. — მხურვალე კოლმეურნულ სალამს გიძღვნით თქვენ.

მძლავრი სოციალისტური შეჯიბრება გაიშალა მთელს ჩვენს თვალუწვდენელ ქვეყანაში. ამხანაგ მოლოტოვისა და ამხანაგ ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები უდიდეს სიხარულს იწვევენ სოციალიზმის დიად გამარჯვებათა გამო, რომლებიც მიღწეულია ბოლშევიკების დიადი პარტიის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის—ჩვენი მშობლიური მამის, მეგობრისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. ამ უკანასკნელ წლებში საბჭოთა საქართველომ დიდ წარმატებებს მიაღწია საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) ხელმძღვანელობით, ერთგული სტალინელის ამხანაგ ლ. პ. ბერიას მეთაურობით.

თათბირის მონაწილენი შემდეგ ვალდებულებებს კისრულობენ:

20 თებერვლისათვის მთლიანად შეინახონ სათესლე ფონდი, 25 თებერვლისათვის—საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XVIII წლისთავისათვის — გასწმინდონ და კონდიციამდე დაიყვანონ მთელი სათესლე მასალა და დაამთავრონ მთელი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტი.

18 სამუშაო დღის განმავლობაში დასთესონ გეგმით გათვალისწინებული მთელი ფართობი, უზრუნველჰყონ ნიადაგის მაღალხარისხოვანი დამუშავება, რაიონში ერთ ჰექტარზე აიღონ საშუალოდ 11 ცენტნერი ხორბალი, 18 ცენტნერი ქერი, 120 ცენტნერი კარტოფილი.

უზრუნველჰყონ მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობის ზრდა 10 პროცენტით, წვრილფეხა რქიანი საქონლისა—14 პროცენტით, ცხენებისა—15 პროცენტით, ღორებისა—50 პროცენტით.

გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტიულობა, აიყვანონ სარძეო-სასაქონლო ფერმის საფურაჟე ძროხის წველადობა 11 ცენტნერამდე გასული წლის 8,5 ცენტნერის ნაცვლად, ნაპარსი მატყლი—2½ კილოგრამამდე 1938 წლის, 1,8 კილოგრამის ნაცვლად.

ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენი მზიური საქართველოს ყველა რაიონის სოფლის მეურნეობის სტახანოველ-მოწინავეებს,—სწერენ თათბირის მონაწილენი, უფრო ფართოდ გაშალონ წინასაყრილობო შეჯიბრება, რათა ღირსეულად შევეგებოთ საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) XII ყრილობას და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობას.

გაუმარჯოს საკ. კ. პ. (ბ) ლენინურ-სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს და მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს, მშობლიურ სტალინს!

შრომითი ენთუზიაზმის ახალი აღმავლობა

წულუკიძის რაიონის ძაფსალები ფაბრიკის მუშა სტახანოველებმა ახალი საწარმოო ვალდებულებები აიღეს პარტიის XVIII ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით. ფაბრიკაში შეიქმნა XVIII პარტყრილობის სახელობის 7 ბრიგადა. ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ბრიგადებსა და ცვლებს შორის, ინდივიდუალურ სოცშეჯიბრებაში ჩაებნენ სტახანოველები ე. ფარცხვანია, ლ. გელენიძე, მ. ჩიხლაძე, ვ. ჯანჯღავა, თ. ბაკურაძე, კ. ყუფარაძე, ნ. ჩხენკელი, ზ. სიმონია, ე. მელაძე, ვ. ძაძამია, მ. დანგაძე და სხვ. XVIII პარტყრილობის სახელობის კომკავშირული ბრიგადა, რომლის ბრიგადირია სტახანოველი ამხ. თამარ გურეშიძე, ყოველდღიურ გეგმას ასრულებს 110—114 პროცენტით. ამ ბრიგადას აღებული აქვს ვალდებულება — XVIII პარტყრილობის გახსნის დღისათვის ბრიგადის ყველა წევრი იყოს სტახანოველი. ფაბრიკის საუკეთესო სტახანოველი ამხ ელენე მელაძე, რომელიც 3 დაზგაზე მუშაობდა წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ 4 დაზგაზე გადავიდა და გეგმას ასრულებს 400 პროცენტით.

ლ. ტაბიძე

საჩუქრებით ხვდებიან მე-18 პარტყრილობას

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის და თავმორთულობის სამკერვალო ფაბრიკის № 3-ის მუშები დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ XVIII პარტყრილობისათვის საჩუქრების მომზადებას.

მქსოველმა ამხ. თ. გიგოლაშვილმა, რომელიც 4 დაზგაზე მუშაობს, თებერვლის გეგმა 10 თებერვლისათვის შეასრულა 103 პროცენტით. ასევე ვადაზე ადრე შეასრულეს გეგმები მქსოველებმა: ამხ. თ. მელიქაძემ—114 პროცენტით, ო. იანოვმა —115 პროცენტით და ვ. არუთინოვამ—105 პროცენტით.

თავმორთულობის სამკერვალო ფაბრიკა № 3-ში ამხ. ლ. ხაჩიკიანმა ქალების ქუდების შეკერვის თებერვლის გეგმა 15 თებერვლისათვის შეასრულა 190,6 პროცენტით, ხოლო ამხ. თ. გრიგალაშვილმა ქუდების დამხმარე მასალის დამზადების თებერვლის გეგმა 15 თებერვლისათვის—303 პროცენტით.

მ. ლეჟავა

სტახანოველის სიტყვა მტკიცეა

ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სტახანოველებმა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით იკისრეს ახალი საწარმოო ვალდებულებები, რომელთა განაღდებისათვის ისინი ენერგიულ მუშაობას აწარმოებენ.

საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის კანდიდატის ნ. სიჭინავას ბრიგადამ იანვრის თვის გეგმა 165 პროცენტით შეასრულა, თებერვლის თვის პირველი დეკადის ჩაის გადაბარვის გეგმა კი—145 პროცენტით. სტახანოველმა ი. სიჭინავამ იკისრა ყოველდღიური ნორმის შესრულება 180 პროცენტით, სინამდვილეში იგი ჩაის ზოლისებრივი გაფხვიერების გეგმას 350-400 პროცენტით ასრულებს. აგროტექნიკოსმა ქ. სიჭინავამ იკისრა თავისი ბრიგადის ყველა წევრი გახადოს სტახანოველი. ამჟამად მის ბრიგადაში 12 სტახანოველი და 24 დამკვრელია. ეს ბრიგადა ყოველდღიურ ნორმას 215-260 პროცენტით ასრულებს.

საგზაო მშენებლობის ენტუზიასტები (პისიაკი, სოფრონოვი, დავრიშოვი და სხვ.) ახალი გზის მოხრეშის გეგმას 250-280 პროცენტით ასრულებენ.

კ. დგებუაძე

ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი ძვირფას საჩუქრებს უმზადებს მე-18 პარტყრილობას

(ზესტაფონი, ტელეფონით „კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან)

„გლავსპეცსტალიდან“ მიღებული ცნობების მიხედვით, წინასაყრილობო ვალდებულებათა შესრულების მხრივ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა თებერვლის პირველი დეკადის გეგმის შესრულებაში გაუსწრო ჩელიაბინსკის და „ზაპოროჟსტალის“ ქარხნების კოლექტივებს, რომლებთანაც ჩვენს ფეროლელებს დადებული აქვთ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება.

თებერვლის პირველი დეკადის გეგმა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ 151 პროცენტით შეასრულა, ჩელიაბინსკისამ—87.9-ით, „ზაპოროჟსტალმა“ — 80,9-ით.

ფეროლელებმა თებერვლის 15 დღის გეგმა 124.6 პროცენტით შეასრულეს. განსაკუთრებით წინ მიდის მოლიბდენის საამქრო (უფროსი ინჟ.—გრ. ვეფხვაძე), სადაც ყოველდღიურ გეგმას 177-დან 260 პროცენტამდე ასრულებენ. ამ საამქროს სტახანოველი ბრიგადირები: ტ. გველესიანი, გრ. კაპანაძე, ა. რაშკოვი და ვ. ბოგვერაძე სტახანოვურად მუშაობენ. საამქრომ თებერვლის 15 დღის გეგმა 181.8 პროცენტით შეასრულა.

სტახანოვურ მაჩვენებლებს იძლევა აგრეთვე სადღელი საამქრო (უფროსი ინჟ. გრ. ხუციშვილი), რომელმაც 15 დღის გეგმა 153,3 პროცენტით შეასრულა.

მდნობელები: გვალია, წაქიძე და დვალი სტახანოვურად განაგრძობენ მუშაობას. სადნობმა საამქრომ (უფროსი ლ. მაღლაკელიძე) 15 დღის გეგმა 109,1 პროცენტით შეასრულა.

ფეროლელები ამ გამარჯვებებს აღწევენ ლითონის გამოდნობის გრაფიკის დაცვით, კაზმის წესიერად მიწოდებით და შრომის დისციპლინის განმტკიცებით.

ვ. გოგიაშვილი

სასახელოდ ასრულებენ აღებულ ვალდებულებებს

თბილისის თამბაქოს № 1 ფაბრიკის სტახანოველი მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა მთელი კოლექტივი გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს იმ საწარმოო ვალდებულებათა ბოლშევიკურად განაღდებისათვის, რომელნიც მათ აიღეს ლენინ-სტალინის დიადი პარტიის XVIII ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით. ფაბრიკაში წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლამ ახალი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია. მექანიკოსმა გამომგონებელმა ამხ. ი. იმნაძემ გამოიგონა ახალი სისტემის დაზგა, რომელიც მან საჩუქრად უძღვნა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობას. ამ დაზგის საშუალებით ფაბრიკა ახლა ღებულობს ისეთ ინსტრუმენტებს, რომლებიც წინათ თბილისში არ მზადდებოდა. ამ დაზგის გამოგონებით ამხ. ი. იმნაძემ ფაბრიკას რამდენიმე ათასი მანეთის ეკონომია მისცა. გარდა ამისა, ამხ. იმნაძემ იკისრა ვალდებულება, რომ 1939 წლის განმავლობაში ყოველთვიური გეგმა 150 პროცენტით შეასრულოს. ამ ვალდებულებას იგი უკვე ანხორციელებს.

გილზის საამქროს სტახანოველი, ზეინკალი ამხ. ა. სტროევენკო აღებულ ვალდებულებას, რომ წესრიგში მოიყვანდა საამქროს ყველა მანქანას და ყოველთვიურ გეგმას 108 პროცენტით შეასრულებდა, მაღალხარისხოვნად ასრულებს. ამავე საამქროს ზეინკალი ამხ. გ. შაპელნიკოვი 9 მანქანის ნაცვლად ამუშავებს 14 მანქანას, რითაც გეგმას დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

გამომგონებელმა მექანიკოსმა ამხ. ი. ნიკოლაევმა წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში აღებული ვალდებულება კურკევიჩის სისტემის პაპიროსის დამტენი მანქანის გადაკეთების შესახებ უკვე შეასრულა. ამხ. ი. ნიკოლაევის მიერ გადაკეთებული მანქანა იძლევა 105.000 ცალ პაპიროსს, მაშინ როცა კურკევიჩის სისტემის მანქანა იძლეოდა მხოლოდ 53.000 ცალ პაპიროსს.

წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში აღებულ ვალდებულებებს ბოლშევიკურად ანაღდებენ აგრეთვე ფაბრიკის წარჩინებული სტახანოველები ამხ. ვ. კოზლოვა, ნ. აგოიანი, გ. არამიანი და სხვ., რომლებიც ახალ საჩუქრებს უმზადებენ ლენინ-სტალინის პარტიის XVIII ყრილობას.

შ. ოზაშვილი
ალ. გოგოლაძე

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის სავაჭრო ხელშეკრულება

ა. წ. 19 თებერვალს მოსკოვში, სსრ კავშირსა და პოლონეთს შორის წარმოებული მოლაპარაკების შედეგად, რომელიც რამდენიმე კვირის განმავლობაში გრძელდებოდა, ხელი მოაწერეს შემდეგ ხელშეკრულებებს, რომელნიც სავსებით აწესრიგებენ სამეურნეო ურთიერთობას საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირსა და პოლონეთის რესპუბლიკას შორის: სავაჭრო ხელშეკრულებას, შეთანხმებას საქონელბრუნვისა და კლირინგის შესახებ.

ამ ხელშეკრულებათ საბჭოთა კავშირის მხრით ხელი მოაწერა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარმა ა. ი. მიქოიანმა, პოლონეთის მხრით — პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო ელჩმა მოსკოვში ბ-ნმა დ-რმა ვ. გრჟიბოვსკიმ და მოლაპარაკების მწარმოებელი სავაჭრო დელეგაციის თავმჯდომარემ ბ-ნმა დ-რმა ტ. ლიხოვსკიმ.

სავაჭრო ხელშეკრულება წარმოადგენს პირველ საერთო პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სამეურნეო ხელშეკრულებას, რომელიც დაფუძნებულია უმეტესი მფარველობის პრინციპზე და შეიცავს მთელ რიგ ძირითად დადგენილებებს, რომელნიც ეხებიან საქონელბრუნვას და საზღვაო ტვირთზიდვას.

შეთანხმება საქონელბრუნვის შესახებ ითვალისწინებს სავაჭრო ოპერაციების მნიშვნელოვნად გაფართოებას ორივე ქვეყანას შორის, ამასთან სსრ კავშირიდან პოლონეთში უმთავრესად გატანილი იქნება: ბამბა, ბამბის ნარჩენები, ბეწვეული, აპატიტები, თამბაქო, მარგანეცი, ასბესტი, გრაფიტი და სხვ. თავის მხრით, პოლონეთი საბჭოთა კავშირში შემოზიდავს ქვანახშირს, შავ ლითონებს, თუთიას, ქსოვილებს, საფეიქრო მანქანებს, გამოყვანილ ტყავს, ვისკოზას და სხვ.

და, ბოლოს, შეთანხმება კლირინგის შესახებ ითვალისწინებს, რომ საქონელბრუნვისა და სხვა ხარჯების გადასახდელის შეტანა იწარმოებს ურთიერთ ანგარიშსწორების გზით, რაც მოხდება პოლონეთის საანგარიშსწორებო ინსტიტუტის მეშვეობით. (საქდესი).

დამთავრდა მეორე ხუთწლედის სესხის მოგებათა მე-10 ტირაჟი

პერმი, 19 თებერვალი (საქდესი). 18 თებერვალს დამთავრდა მეორე ხუთწლედის სახელმწიფო სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) მოგებათა მე-10 ტირაჟი. გათამაშებულ იქნა 1.130 ათასი მოგება 184.420 ათასი მანეთისა.

უახლოეს დღეებში ოფიციალური ცხრილი დაიბეჭდება ცენტრალურ გაზეთებში. მოგება განაღდებულ იქნება იმ ცხრილების საფუძველზე, რომლებიც მოთავსდება გაზეთ „პრავდაში“, „იზვესტიაში“, „ტრუდში“ და „ფინანსოვაია გაზეტაში“.

„სედოვმა“ გადალახა 86 პარალელი

ყინულმჭრელ „სედოვის“ გემბანი, 20 თებერვალი. დღეს ყინულმჭრელმა „სედოვმა“ გადალახა 86 პარალელი. ღამის 1 საათზე გემის ადგილსამყოფელი განისაზღვრებოდა ჩრდილოეთის განედის 86 გრადუსისა და 02 წუთის და აღმოსავლეთის გრძედის 119 გრადუსისა და 15 წუთის კოორდინატებით.

ყინულმჭრელი „სედოვი“ განაგრძობს გზას ჩრდილოეთისაკენ.

მზადება წითელი არმიისა და წითელი სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXI წლისთავისათვის

ლენინი და სტალინი წითელი არმიის ორგანიზატორები არიან

ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალას აშენებდა ბოლშევიკების პარტია ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით.

ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციის წინ ჩვენი პარტია ჰქმნიდა მებრძოლ მუშათა რაზმებს. ლენინი და სტალინი, სულისჩამდგმელები და ორგანიზატორები პროლეტარიატის ბრძოლისა ექსპლოატატორთა წინააღმდეგ, გვასწავლიდნენ, რომ მუშათა კლასს შეუძლია ხელთ იგდოს ძალაუფლება და მოსპოს კაპიტალისტთა და მემამულეთა წინააღმდეგობა მხოლოდ შეიარაღებული ძალით. პროლეტარიატის პირველი შეიარაღებული რაზმები — მებრძოლი რაზმები ფაბრიკებსა და ქარხნებში 1905 წელს—ყველაზე მოწინავე და თავგანწირული მუშებისაგან შესდგებოდნენ. ლენინი პირადად ადევნებდა თვალყურს მათს მომზადებასა და შეიარაღებას.

თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ 1917 წლის თებერვალში ლენინი და სტალინი დაუღალავად იწვევდნენ პროლეტარიატის შეიარაღებას და ამზადებდნენ მას მომავალი ბრძოლისათვის ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ბოლშევიკების მიერ შექმნილმა წითელმა გვარდიამ უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა კაპიტალისტთა ხელისუფლების დამხობის საქმეში 1917 წლის ოქტომბერში.

1918 წლის დასაწყისში საბჭოთა რუსეთი გარემოცული იყო ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების მიერ. ამ ურდოებთან ხანგრძლივი შეიარაღებული ბრძოლისათვის საჭირო იყო რეგულარული წითელი არმიის მძლავრი შეიარაღებული ძალები. 1918 წლის 28 იანვარს ვლადიმერ ილიას-ძემ ხელი მოაწერა დეკრეტს წითელი არმიის შექმნის შესახებ.

წითელი არმია იშვა და მტკიცდებოდა სამოქალაქო ომის ცეცხლში, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის არმია, როგორც სოციალიზმისათვის მებრძოლი ხალხის შეიარაღებული ავანგარდი. მას ჰქმნიდა ბოლშევიკური პარტია ტროცკისტებთან, ბუხარინელებთან და სხვა ჯურის გამცემლებთან და მოღალატეებთან გააფთრებულ ბრძოლაში.

ბოლშევიკების პარტიის საუკეთესო შვილები შეადგენდნენ წითელი არმიის ბირთვს, მის ფუძეს. პარტიის მთელი შემადგენლობის დაახლოებით ნახევარი—300 ათასი კომუნისტი—წითელი არმიის რიგებში იმყოფებოდა.

ლენინთან და სტალინთან იყრიდა თავს თავდაცვის ყველა ძაფი. ლენინი, რომელიც უმაღლეს სამხედრო ორგანოს — თავდაცვის საბჭოს მეთაურობდა, მუშაობდა ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციის ყველა საკითხზე. ლენინი პირადად იხილავდა სამხედრო ოპერაციების გეგმებს. ლენინის უახლოესი თანაშემწე და მრჩეველი წითელი არმიის შექმნისა და განმტკიცების საქმეში ისე, როგორც ყველა სხვა საკითხში, ამხანაგი სტალინი იყო.

როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა შიმშილს განიცდიდა, ლენინმა ამხანაგი სტალინი გაჰგზავნა ცარიცინს, რათა მოეწყო პროლეტარული ცენტრებისა და წითელი არმიის მომარაგება სურსათ-სანოვაგით. ამხანაგმა სტალინმა ლენინის დავალება ბრწყინვალედ შეასრულა. ცარიცინის ლეგენდარული დაცვის ორგანიზაციით მან უბრწყინვალესი ფურცელი ჩასწერა სამოქალაქო ომის ისტორიაში.

პეტროგრადი საფრთხის წინაშე დადგა. ვლადიმერ ილიას-ძე პეტროგრადში ჰგზავნის ამხანაგ სტალინს. მას პარტია ანდობს მოაწყოს პეტროგრადის დაცვა. რამდენიმე დღის შემდეგ იუდენიჩი სასტიკად დამარცხებულ იქნა და მისი ჯარის ნაშთები განდევნილ იქნენ ჩვენი ქვეყნის საზღვრებიდან.

ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა დენიკინის განადგურების გენიალური სტრატეგიული გეგმა და პირადად ხელმძღვანელობდა შეტევას. დენიკინის რაზმები დამარცხებულ და გადაყრილ იქნენ შავ ზღვაში.

ამხანაგ სტალინის წინადადებით შეიქმნა 1-ლი ცხენოსანი არმია, რომელმაც ლეგენდარული სახელი მოიხვეჭა.

სამოქალაქო ომი ინტერვენტთა და თეთრგვარდიელთა ურდოების განადგურებით დამთავრდა. მაგრამ საბჭოების ქვეყანა წინანდებურად გარემოცულია მტრული იმპერიალისტური სახელმწიფოებით.

საბჭოთა მთავრობა, პარტია, პირადად ამხანაგი სტალინი განუწყვეტლივ ზრუნავენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებაზე. საბჭოთა ხალხმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით გაანადგურა ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელ და გამარნიკ-ბულინელ აგენტთა ჯაშუშური ბუდეები, იმ აგენტთა, რომელნიც ცდილობდნენ შიგნიდან შეერყიათ წითელი არმიის სიმძლავრე. სტალინურმა ხუთწლედებმა წითელ არმიას პირველხარისხოვანი სამხედრო ტექნიკა მისცეს. წითელი არმიის ადამიანები არიან თავისი სამშობლოს ნაცადი პატრიოტები, რომელთაც მშვენივრად აქვთ ათვისებული უახლესი სამხედრო ტექნიკა და რომელნიც უსაზღვროდ ერთგულნი არიან თავისი ხალხის, პარტიისა და დიდი სტალინისა. თავისი უძლეველი სიძლიერე, გამარჯვების მიღწევის მტკიცე გადაწყვეტილება წითელმა არმიამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო საზიზღარ იაპონელ სამურაებთან წარმოებულ ბრძოლაში ხასანის ტბასთან. გამარჯვების შეძახილით — „სამშობლოსათვის! დიდი სტალინისათვის!“ უშიშარ ლომებივით ეკვეთნენ მტერს წითელი არმიის მებრძოლნი. და მტერი შემუსრულ, დამარცხებულ, განდევნილ იქნა საბჭოთა წმინდა მიწა-წყლიდან. ბრძოლისათვის მუდამ მზად მყოფ ფხიზელ გუშაგად სდგას ხალხის შეიარაღებული ავანგარდი — წითელი არმია საბჭოთა მიწა-წყლის საზღვრებზე.

23 თებერვალს მუშურ-გლეხური წითელი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და შინსახკომის ჯარების მებრძოლნი, მეთაურები და პოლიტმუშაკები უდიდესი სიამაყის გრძნობით დასდებენ ფიცს თავისი სამშობლოს, თავისი ხალხისა და თავისი მუშურ-გლეხური მთავრობისადმი ერთგულებაზე, ფიცს დასდებენ ყოველ წუთს პარტიისა და მთავრობის პირველი დაძახებისთანავე თავს დაატყდნენ მტერს წითელი არმიის საბრძოლო ტექნიკის მთელი სიძლიერით. და ყველანი, ვინც კი გაჰბედავს თავს დასხას ჩვენს სამშობლოს, დაუნდობლად იქნება განადგურებული იქ, საიდანაც იგი მოვა.

პ. ალექსანდროვი

საბრძოლო მომზადების ფრიადოსნები, სახაზო გემ „პარიზის კომუნის“ მესიგნალენი ნ. კ. კრიტორი (ბრძანებას გადასცემს მეზობელ გემს) და ა. პ. კაბაშინი (იღებს პასუხს).
საქდესის ფოტოქრონიკა

წითელარმიელური ფიცი—მტკიცე და უტეხი იქნება

თბილისის გარნიზონის ნაწილებში, ისევე როგორც ამიერ-კავკასიის მთელ სამხედრო ოლქში და მთელ უძლეველ წითელ არმიაში, ჩვენი სახელოვანი მებრძოლები, მეთაურები, პოლიტმუშაკები და სამხედრო მსახურნი უკვე მზად არიან მტკიცე და უტეხი წითელარმიელური ფიცის მისაღებად.

ნაწილებსა, დანაყოფებსა და ქვედანაყოფებში ფიცის მისაღებად უკეთ მომზადებისათვის გაშლილია წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 21 წლისთავის სახელობის შეჯიბრება.

საზეიმო დღეების მოახლოების გამო გარნიზონის ნაწილებსა და დანაყოფებში უკვე შეუდგნენ გაშლილი შეჯიბრების შედეგების შემოწმებას. ყველგან მიმდინარეობს მებრძოლთა შემოწმება საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

იმ ქვედანაყოფის წითელარმიელებმა, რომელსაც ამხ. ანდრზიანოვი მეთაურობს, სალაშქრო მომზადებაში საუკეთესო შეფასება მიიღეს. წითელარმიელები ამხ. ეგოროვი, ტიტოვი, რამანოვი და სხვ. მიზანში ესროდნენ ფრიადზე.

ამხ. ვერნაგოროვის ქვედანაყოფში არ აღმოჩნდა არცერთი ისეთი წითელარმიელი, რომელსაც ფრიადზე არ შეესრულებინოს მიზანში თოფის სროლა და მაღალი შეფასება არ მიეღოს საბრძოლო ყუმბარების სროლაში. განსაკუთრებით კარგი შედეგები გვიჩვენეს წითელარმიელებმა—დანელიანმა, ერმაკოვმა და მალიშევმა. დანაყოფის ასე კარგად მომზადებისათვის დანაყოფის მეთაურს ამხ. ვერნაგოროვს მადლობა გამოუცხადეს.

იმ ქვედანაყოფში, რომელსაც ამხ. დენისენკო მეთაურობს, საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს როგორც საბრძოლო, ისე პოლიტმომზადებაში. ამ ქვედანაყოფმა ფიცის მიღებისათვის მზადებაში პირველი ადგილი დაიკავა მთელ № ნაწილში.

ასეთივე მდგომარეობაა ყველა ნაწილებსა და დანაყოფებში. 23 თებერვალს ყველა ამ ნაწილებსა და დანაყოფებში ჩვენი სამშობლოს სახელოვანი დამცველები მიიღებენ დიად ფიცს სამშობლოსა და საბჭოთა ხალხის ერთგულებაზე.

ფიცის მიღების დღისათვის

წითელი არმიის საოლქო სახლში (თბილისი) 22 თებერვალს გაიმართება დიდი საზეიმო საღამო, რომელზედაც მოგონებებით გამოვლენ სამოქალაქო ომის მონაწილენი. შემდეგ დაიწყება საღამოს სპეციალური პროგრამა.

⊙

ამ რამდენიმე დღის წინათ მოეწყო და უკვე დამთავრდა № ნაწილის ასკილომეტრიანი გადასვლა საწთო პირობებში. გადასვლა დიდი წარმატებით დამთავრდა.

⊙

წითელი არმიის საოლქო სახლის პარტკაბინეტთან გაიხსნა წითელი არმიისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენა.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში

1939 წლის 16 თებერვალს ამხ. ვ. მ. ბაქრაძის თავმჯდომარეობით შესდგა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომა.

სახკომსაბჭომ აღნიშნა, რომ მთელი რიგი სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალური ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მხრივ არასერიოზული დამოკიდებულების შედეგად ჯერ კიდევ სუსტად არის გაშლილი კაპიტალური მშენებლობის სამუშაოები, სრულიად არადამაკმაყოფილებლად სრულდება 1939 წლის პირველი კვარტალის კაპიტალური მშენებლობის დაწესებული გეგმა.

იანვარში სახსრების გატანის კვარტალური გეგმა შესრულებულია 13 პროცენტით; ჯანსახკომს, ცეკავშირს, კინოფიკაციის საქმეთა სამმართველოს, საქავტოტრანსსა და სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველოს იანვარში არაფერი არ გაუკეთებიათ კაპიტალური მშენებლობის ხაზით.

კაპიტალური მშენებლობის გეგმა ჩაშალეს: ხელოვნების საქმეთა სამმართველომ, რომელმაც იანვარში კვარტალური გეგმა შეასრულა მხოლოდ 3 პროც., სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა — 6 პროც., კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა—12,2 პროც., მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა—11,1 პროც., ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა—14,6 პროც. და განსახკომმა — 7,4 პროც. კაპიტალურ სამუშაოთა გეგმა უმნიშვნელო პროცენტით აქვს შესრულებული აგრეთვე თბილისის საბჭოს და კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს.

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ყველა სახალხო კომისარიატისა და ცენტრალური ორგანიზაციის ხელმძღვანელებს პირადად იმუშაონ კაპიტალური მშენებლობის საკითხებზე, სახალხო კომისარიატების კოლეგიების სხდომებზე განიხილონ კაპიტალურ სამუშაოთა მიმდინარეობის საკითხი, გამოარკვიონ თვითეული ცალკე ობიექტისათვის არსებული გეგმის შეუსრულებლობის მიზეზები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის.

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა სახელმწიფო საგეგმო კომისიას შემოწმოს, თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი 1939 წლის მშენებლობის ობიექტები პროექტებითა და ხარჯთაღრიცხვებით, აგრეთვე, როგორ სწარმოებს სამშენებლო მასალების ფონდების გატანა და შემოწმების შედეგები ხუთი დღის ვადაში მოახსენოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს.

სახკომსაბჭომ დაავალა სამშენებლო ტრესტებს (საქმშენს, თბილმშენს, საქქარხმშენსა და სხვ.) დაუყოვნებლივ გაშალონ მუშაობა ყველა მშენებლობაზე, შეადგინონ სამუშაოთა კალენდარული გეგმა და უზრუნველჰყონ პირველი კვარტალის გეგმის 100 პროცენტით შესრულება.

○

სახკომსაბჭომ განიხილა საქართველოს სსრ მრეწველობის მიერ პირველი კვარტალის საწარმოო გეგმის შესრულების მიმდინარეობის საკითხი და აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ მრეწველობის მიერ 1939 წლის იანვარში საწარმოო გეგმის შესრულება სრულიად არადამაკმაყოფილებელია.

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა საქართველოს სსრ კვების, მსუბუქი, ადგილობრივი და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატებს გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა თვითეული ცალკე საწარმოსადმი, ხუთი დღის ვადაში მოისმინონ სახალხო კომისარიატების კოლეგიის სხდომებზე ჩამორჩენილი საწარმოების მოხსენებანი და თვითეული საწარმოს მიხედვით ცალკე დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი.

○

სახკომსაბჭომ მოისმინა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების ჯიშიანი თესლის გადაცვლა 1939 წელს დასათესად, და აღნიშნა, რომ შეუწყნარებლად ჭიანურდება საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების ჯიშიანი თესლის გადაცვლა.

სახკომსაბჭომ დაავალა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკის თავმჯდომარეს, ლუქსემბურგისა და წითელწყაროს რაიალმასკომების თავმჯდომარეებს დაუყოვნებლივ დაიყვანონ კოლმეურნეობებამდე და „ზაგოტზერნოს“ პუნქტებამდე საგაზაფხულო კულტურების ჯიშიანი თესლის გადაცვლის გეგმა, ამასთან გააფრთხილა ყველა რაიალმასკომის თავმჯდომარე და რაიმიწგანის გამგე, რომ ისინი პერსონალურად არიან პასუხისმგებელი იმისათვის, რათა კოლმეურნეობებმა „ზაგოტზერნოს“ პუნქტებზე მიიტანონ გაწმენდილი და დასამზადებელ კონდიციებამდე დაყვანილი მარცვალი ჯიშიან თესლზე გადასაცვლელად.

სახკომსაბჭომ მიუთითა შემდეგი რაიალმასკომების თავმჯდომარეებს: ხაშურისას—ამხ. ზუმბაძეს, კასპისას—ამხ. სიდამონიძეს, გურჯაანისას—ამხ. მაისურაძეს, თელავისას—ამხ. ძამუკაშვილს და ორჯონიკიძისას—ამხ. კვირიკაშვილს, რომ ისინი უწევენ ცუდ ხელმძღვანელობას კოლმეურნეობათა რიგითი მარცვლის ჯიშიან თესლზე გადაცვლის საქმეს. საქართველოს სსრ მიწსახკომს წინადადება მიეცა დაადოს სასჯელი რაიმიწგანების იმ გამგეებს, რომლებსაც არ გაუშლიათ მუშაობა ჯიშიანი თესლის გადასაცვლელად.

○

სახკომსაბჭომ მოისმინა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მინერალური სასუქის მიღება და გატანა საქართველოს სსრ კოლმეურნეობების მიერ 1939 წლის გაზაფხულისათვის, და აღნიშნა, რომ, რაიალმასკომების თავმჯდომარეთა არასერიოზული დამოკიდებულების შედეგად, ცალკეული რაიონები ჩაშლის საფრთხეს უქმნიან მინერალური სასუქის თავის დროზე გატანას.

სახკომსაბჭომ დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის და წინადადება მისცა რაიალმასკომების თავმჯდომარეებს და რაიმიწგანების გამგეებს დაუყოვნებლივ შეამოწმონ ყველა კოლმეურნეობაში მინერალური სასუქის მიღებისა და გატანის მიმდინარეობა და მიიღონ ზომები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ სასუქის გატანას სოფლმეურნმომარაგების ბაზებიდან და მის შეტანას მინდვრებსა და პლანტაციებზე აგროწესებით დადგენილ ვადებში.

○

სახკომსაბჭომ მიიღო ღონისძიებანი შრომის წიგნაკების აღრიცხვისა და შენახვის კონტროლის გასაძლიერებლად. საქართველოს სსრ სახალხო კომისრებსა და ცენტრალური დაწესებულებების ხელმძღვანელებს წინადადება მიეცათ განუხრელად გაატარონ ცხოვრებაში ეს ღონისძიებანი, გააძლიერონ კონტროლი სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მიერ შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ გამოტანილი დადგენილების ცხოვრებაში გატარებისადმი, კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ საწარმოების (დაწესებულებების) სახლებიდან გასახლებულ იქნენ შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნილი პირები.

⊙

სახკომსაბჭომ მოისმინა ინფორმაცია საქონელბრუნვის 1939 წლის პირველი კვარტალის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ საქონელბრუნვის გეგმა 1 თებერვლისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში შესრულებულია 30.6 პროც., აქედან ქალაქად — 32,5 პროც. და სოფლად — 26,7 პროც. საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს წინადადება მისცა სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად შეამოწმოს, თუ როგორ მიმდინარეობს საქართველოს სსრ სავაჭრო ორგანიზაციების მიერ ხელშეკრულებათა დადება ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის, სარეწაო კოოპერაციის, ინვალიდთა კოოპერაციის საწარმოებთან და სხვა ადგილობრივ საწარმოო ორგანიზაციებთან, ამასთან უზრუნველჰყოს ხელშეკრულებათა მაქსიმალური რაოდენობით დადება ამ ორგანიზაციების პროდუქციაზე იმ მიზნით, რომ რეალიზებულ იქნას იგი ადგილობრივ ბაზარზე.

სახკომსაბჭომ დაავალა საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და ცეკავშირის პრეზიდიუმს გადასინჯონ საქონლის ნაშთები როგორც საწყობებში, ისე სავაჭრო ქსელში საქონლის ცალკეული ჯგუფების მიხედვით და მიიღონ ზომები საქონლის ჩაწოლის ლიკვიდაციისათვის.

○

სახკომსაბჭომ აღნიშნა, რომ საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ არაერთხელ მიცემული გაფრთხილების მიუხედავად, საქალაქო საბჭოებმა და რაიალმასკომებმა სერიოზული ყურადღება არ მიაქციეს ქალაქებში სასკოლო მშენებლობას. სახკომსაბჭომ საქალაქო სკოლების მშენებლობის საბოლოო ვადად დააწესა 15 ივლისი და დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მშენებლობის დამთავრებას დაწესებულ ვადებში.

○

სახკომსაბჭომ მოისმინა ინფორმაცია ფულადი სახსრების მობილიზაციის 1939 წლის პირველი კვარტალის გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ და წინადადება მისცა საქართველოს სსრ ფინსახკომს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკს, საქალაქო საბჭოებსა და რაიალმასკომებს დაუყოვნებლივ შეამოწმონ, თუ როგორ სრულდება ფულადი სახსრების მობილიზაციის პირველი კვარტალის გეგმა ყოველგვარი სახის გადასახდელის მიხედვით და მიიღონ ზომები ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის, კერძოდ იმისათვის, რომ ა. წ. 10 მარტისათვის სავსებით იქნას ლიკვიდირებული ყოველგვარი სახის გადასახდელის ნარჩენები, ამასთან არ დაუშვან ახალი ნარჩენების დაგროვება მიმდინარე გადასახდელების ხაზით. სახკომსაბჭომ დაავალა საფინანსო ორგანოებს გამოიყენონ კანონით გათვალისწინებული სასჯელის ზომები ყველა მენარჩენის მიმართ და, პირველ რიგში, ერთპიროვნული მეურნეობების მიმართ.

○

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან შექმნილია წყალდიდობასთან მებრძოლი კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ა. ნ. რაფავა, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ს. გ. ხოშტარია, საქართველოს სსრ მიწსახკომის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი ამხ. ს. ზ. ზერეკიძე, საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილებისა და ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი ამხ. ნ. ვ. ქავთარაძე და ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილე ამხ. გ. ს. კიკნაძე.

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა იმ რაიონების რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს, რომლებსაც წყალდიდობის საფრთხე ემუქრებათ, შექმნან ანალოგიური კომისიები.

შრომა სსრ კავშირში დიდებით არის მოსილი

„პრავდა“ აქვეყნებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს ქვანახშირის მრეწველობის 1.400-ზე-მეტი საუკეთესო ადამიანის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ. ეს არის ახალი რაზმი ქვანახშირის მრეწველობის სტახანოველებისა და ხელმძღვანელებისა, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა, საბჭოთა მთავრობა, ბოლშევიკების პარტია პატივს მიუზღავენ მათი ენტუზიაზმისათვის, ინიციატივისათვის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის.

ამ უკანასკნელი დეკადების განმავლობაში ეს პირველი მასობრივი დაჯილდოება არ არის ჩვენი სამშობლოს მოწინავე ადამიანებისა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა უბანზე. საბჭოთა კავშირის მთავრობამ ამ ცოტა ხნის წინათ აღნიშნა უზბეკეთის, უკრაინის, ყაზახეთის, მოსკოვის ოლქის სოფლის მეურნეობის, აგრეთვე სხვადასხვა სამრეწველო საწარმოთა და სასწავლებელთა მოწინავე ადამიანების მუშაობა.

საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულთა შორის არიან რიგითი კოლმეურნეები და მუშები, ბრიგადირები და ოსტატები, ქარხნებისა და მტს-ების დირექტორები, რაიკომების და ოლქკომების მდივნები, მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურის, ხელოვნების გამოჩენილი მუშაკები, უთვალსაჩინოესი პარტიული და საბჭოთა მოღვაწენი, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახელოვანი მებრძოლნი, მეთაურები და პოლიტმუშაკები.

ჩვენი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სოციალისტური კულტურის რამდენიმე ათასი მოწინავე ადამიანის დაჯილდოება დაემთხვა იმ დროს, როცა გამოქვეყნდა თანამედროვეობის შესანიშნავი დოკუმენტი — პარტიის XVIII ყრილობისათვის ამხ. მოლოტოვის მოხსენების თეზისები. ამ თეზისებში შეჯამებულია [illegible] მნიშვნელობის ბრწყინვალე გამარჯვებათა შედეგები.

ჩვენი ქვეყნის მიერ მეორე ხუთწლედში, ისე როგორც პირველ ხუთწლედში, მოპოვებული გამარჯვებანი შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ხალხის სათავეში დგას ბოლშევიკების პარტია, პარტია, რომელმაც იცის, თუ როგორ და საით წაიყვანოს სოციალისტური მშენებლობის საქმე, პარტია, რომელმაც იცის საზოგადოებრივი განვითარების კანონები და რომელსაც აქვს წინასწარ განჭვრეტის უნარი, პარტია, რომელსაც სტალინური ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობს. სოციალისტური მშენებლობის დიადი გეგმები, ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ შემუშავებული, ბრწყინვალედ ხორციელდება, მატერიალურ ძალად ხდება იმიტომ, რომ ისინი შეესაბამებიან ხალხის ნება-სურვილს, ისინი ეუფლებიან მშრომელთა მასებს. ასე იყო პირველი ხუთწლედის გეგმის დროს, ასე იყო მეორე ხუთწლედის გეგმის დროს, ასე იქნება მესამე ხუთწლედის იმ გრანდიოზულ სამუშაოთა გეგმის დროსაც, რომლებიც დასახულია ამხ. მოლოტოვის თეზისებში.

„ჩვენი საწარმოო გეგმის რეალობა — ეს მშრომელთა მილიონებია, რომლებიც ახალ ცხოვრებას ჰქმნიან. ჩვენი პროგრამის რეალობა—ეს ცოცხალი ადამიანებია, ეს თვითონ ჩვენ ვართ თქვენთან ერთად, ჩვენი ნებისყოფა შრომისადმი, ჩვენი მზადყოფნა ვიმუშაოთ ახლებურად, ჩვენი სიმტკიცე გეგმის შესრულებაში“. (სტალინი).

ბოლშევიკების პარტია, რომელიც ხალხთან უთვალავი ძაფებით არის დაკავშირებული, თავის გეგმებს აშენებს მშრომელთა კოლექტიური გამოცდილების გათვალისწინებაზე, იმაზე, რომ ამ გეგმების განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს ყველა მუშამ, გლეხმა, ინტელიგენტმა. აი ამიტომ არის, რომ ასეთი ენტუზიაზმით, ასეთი გმირობით ხორციელდება სოციალისტური მშენებლობის გეგმები.

სოციალისტური წყობილების ბუნება, სადაც თვითეულ ადამიანს სრული შესაძლებლობა აქვს შემოქმედებითი მუშაობისათვის, სადაც ადამიანთა ნიჭის განვითარებისათვის არ არსებობს დაბრკოლება, არ არსებობს შემაფერხებელი ვარემოება, — სოციალისტური წყობილების ბუნება ისეთია, რომ მოწინავეები, სახელოვანი ადამიანები, გმირები ჩვენში ათასობით იბადებიან. და არაფერი არ არის გასაკვირველი იმაში, რომ ჯერ კიდევ გუშინ უცნობი მაღაროელი, კოლმეურნე, მებრძოლი, პარტმუშაკი ცნობილი ხდება თავისი ოლქის საზღვრებს იქით, ცნობილი ხდება მთელს ქვეყანაში . რევოლუციის წლებში და განსაკუთრებით ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში ჩვენი სამშობლოს უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს ადამიანთა განსაცვიფრებელი ზრდა. ქალაქისა და სოფლის მილიონობით მშრომელნი სოციალისტური საზოგადოების შეგნებული მშენებლები გახდნენ, აღიზარდა კომუნისტური პარტიის მიერ გამოწრთობილი და გამოზრდილი მრავალათასიანი საბჭოთა ინტელიგენცია.

ხალხის მტრები, რომლებიც ერთ დროს მრავალი სამეურნეო, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში გაძვრნენ, ბოროტი განზრახვით ჰფუშავდნენ სოციალისტური მშენებლობის გეგმების შესრულებას, ყოველნაირად აფერხებდნენ ჩვენი ადამიანების ზრდას, ყოველნაირად უთხრიდნენ ძირს საბჭოთა პატიოსანი მშრომელების მუშაობას. ამას ადგილი ჰქონდა ქვანახშირის მრეწველობაშიც. ყველას ახსოვს, თუ რა ციებცხელებას განიცდიდა დონეცის ბასეინი, სადაც, საუკეთესო ადამიანთა ცდების მიუხედავად, ამოღება დიდხანს არ სცილდებოდა გეგმის 85-90 პროცენტს. პარტიის სტალინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა თვით დონბასის მოწინავე ადამიანების — სტახანოველების, დამკვრელების, ინჟინრების — დახმარებით გამოააშკარავა და გაანადგურა მავნებელთა ტროცკისტულ-ბუხარინული ბუდეები, რომლებიც არსებობდა სრულიად-საკავშირო ქურაში. და დონბასი, მისი ტრესტები და შახტები უკვე თანდათან გამაგრდნენ წელში, მაღლა აწევს ამოღების მრუდი, სერიოზული გამარჯვებანი მოიპოვეს. საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებს თვალყურს ქვანახშირის მრეწველობის მუშაობას, მან აღნიშნა ეს მიღწევები, ქვანახშირის მრეწველობის აღმავლობის საქმეში ღირსშესანიშნავი წარმატებებისათვის საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა 1400-ზე მეტი მაღაროელი და სამეურნეო მუშაკი.

ორდენები, მედლები, წარჩინების ნიშნები კაპიტალისტურ ქვეყნებშიც არსებობს. კაპიტალისტები და მათი სახელმწიფო აპარატი აჯილდოებენ თავიანთ გულმოდგინე მსახურებს, ერთგულ მონებს, რომლებიც ეხმარებიან მათ ხალხის ექსპლოატირებასა და ჩაგვრაში. ხალხიდან გამოსულთა შორის კაპიტალისტურ ქვეყნებში ჯილდოების, ორდენებისა და წარჩინების ღირსნი მხოლოდ ისინი ხდებიან, ვინც თსპის შეჭამადისათვის გასცა ხალხის ინტერესები, მისი მტრების ბანაკში, ექსპლოატატორთა და მჩაგვრელთა ბანაკში გადავიდა. საკმარისია გავიხსენოთ მაგალითი ინგლისის მრავალი ეგრეთწოდებული „მუშათა“ ლიდერისა, რომლებსაც დიდბრიტანეთის კონსერვატიულმა მთავრობამ პერობა (ლორდობა) მიანიჭა. რა დამსახურებისათვის? მუშათა კლასის ინტერესების, ხალხის ინტერესების გამცემლობისათვის.

სულ სხვა საქმეა ჩვენში, სოციალიზმის ქვეყანაში. ჩვენი მთავრობა მხოლოდ იმათ აჯილდოებს, ვინც ხალხს უყვარს, ვისაც ხალხი პატივსა სცემს. ხოლო სიყვარული, პატივისცემა, პატივი ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში შეიძლება მოიპოვო მხოლოდ შრომით, ფიზიკური და გონებრივი შრომით, სტახანოვური შრომით, მხოლოდ წმინდა საბჭოთა მიწა-წყლის ხელუხლებლობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცითა და გმირობით. ორდენი, მედალი საბჭოთა კავშირში, სადაც ხალხი და მთავრობა ერთმანეთისაგან განუყოფელია, 170-მილიონიანი ხალხის ნდობის გამოხატულებაა! ჩვენს ქვეყანაში თვითეულმა მშრომელმა იცის, რომ მის მუშაობას თვალყურს ადევნებს მთელი ხალხი, თვალყურს ადევნებს საბჭოთა მთავრობა და ლენინ-სტალინის პარტია. და მისი გმირული შრომა შემჩნეული იქნება, დაფასებული იქნება.

საბჭოთა კავშირი შევიდა განვითარების ახალ ხანაში, უკლასო კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ხანაში. „ყველა ჩვენგანს, ხელმძღვანელებსა და რიგით მუშებს, მოსამსახურეებსა და კოლმეურნეებს მოეთხოვება, უწინარეს ყოვლისა, შეგნებული მოპყრობა თავისი მოვალეობებისადმი, პატიოსანი შრომა და ჩამორჩენილთადმი დახმარება იმისათვის, რომ მესამე ხუთწლიანმა გეგმამ გაიმარჯვოს, რომ საბჭოთა კავშირმა ახალი გიგანტური ნაბიჯი გადადგას კომუნიზმის სრული გამარჯვების გზით“. (თეზისები ამხ. მოლოტოვის მოხსენებისა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე).

ჩვენი ქვეყანა ახლა, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობის წინ, უდიდეს აღმავლობას განიცდის. ამის დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს პარტიის XVIII ყრილობის აღსანიშნავად დაწყებული სოციალისტური შეჯიბრება, რაც სსრ კავშირის ყველა ქალაქსა და სოფელში გაიშალა. მილიონობით მშრომელებმა ქარხნებში, ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და ინსტიტუტებში ვალდებულება იკისრეს ახალი გამარჯვებებით აღნიშნონ ბოლშევიკური პარტიის ყრილობა. ეჭვი არ არის, რომ XVIII ყრილობის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება სოციალისტური შრომის ათასობით და ათიათასობით ენტუზიასტებს, სრულიად-საკავშირო დიდებისა და პატივის ღირს ადამიანებს დააწინაურებს.

მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალედ ულოცავს ქალაქისა და სოფლის ათასობით მოწინავეებს, წარჩინებულ ადამიანებს, რომლებიც უკანასკნელ დღეებში დაჯილდოებულნი არიან საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. დაე, თვითეული ორდენოსანი დაჯილდოების შემდეგაც, როდესაც მის მკერდს ორდენი ან მედალი შეამკობს, დაუღალავად წავიდეს წინ და წინ, დაე, მუდამ იყოს იგი კომუნიზმისათვის მებრძოლთა ავანგარდში.

„პრავდის“ მოწინავე, 20/II.

ირლანდია

(ცნობა)

ამ უკანასკნელ დროს თვალსაჩინოდ გაძლიერდა ირლანდიელი ხალხის ბრძოლა თავისი დამოუკიდებლობისათვის. ამასთან დაკავშირებით ვძლევით ისტორიულ ცნობას, რომელიც ასურათებს ირლანდიის განმათავისუფლებელი ბრძოლის ცალკეულ ეტაპებს.

ირლანდიას ბრიტანეთის კუნძულებს შორის თავისი სიდიდით მეორე ადგილი უკავია. ირლანდიის ფართობი შეადგენს 82.500 კვადრატულ კილომეტრს. მოსახლეობა უდრის 4.246 ათას კაცს. ირლანდია მდებარეობს ატლანტის ოკეანეში დიდი ბრიტანეთის დასავლეთით. დიდი ბრიტანეთიდან მას ჰყოფს ჩრდილოეთის არხი, ირლანდიის ზღვა და სამხრეთის არხი. 1920 წლამდე ირლანდია მთლიანად შედიოდა დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის შეერთებული სამეფოს შემადგენლობაში.

საუკუნეზე მეტია, რაც ირლანდიელი ხალხი შეუპოვარ ბრძოლას ეწევა თავისი დამოუკიდებლობისათვის. ამ ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში ერთერთი ყველაზე მკაფიო ფურცელი იყო 1916 წელს დუბლინში მომხდარი შეიარაღებული აჯანყება, რომელიც ინგლისის ჯარმა სასტიკად ჩაახშო. თავისი დამოუკიდებლობისათვის ირლანდიელი ხალხის ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლის შედეგად ინგლისის პარლამენტი იძულებული იყო 1920 წელს გამოეცა კანონი, რომლის მიხედვითაც ირლანდია იყოფა ორ ნაწილად: ჩრდილოეთ ნაწილად 6 საგრაფოს შემადგენლობით და სამხრეთ ნაწილად 26 საგრაფოს შემადგენლობით ამ უკანასკნელთათვის ადგილობრივი ავტონომიის მინიჭებით. ჩრდილოეთი ირლანდია ანუ, როგორც მას სხვანაირად უწოდებენ, ოლსტერი, რომელიც ნაწილობრივ დასახლებულია ინგლისიდან გადმოსული ხალხით და რომელიც წარმოადგენდა ინგლისის მემამულეებისა და ბურჟუაზიის დასაყრდენს ირლანდიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში, დაეთანხმა ამ კანონს. სამხრეთი ირლანდია კი, რომელმაც ჯერ კიდევ 1919 წელს გამოაცხადა თავისი თავი რესპუბლიკად, არ დაკმაყოფილდა ამ კანონით და არ სცნო იგი. დამატებით მოლაპარაკების შემდეგ 1921 წელს სამხრეთ ირლანდიასა და ინგლისის მთავრობას შორის დაიდო შეთანხმება, რომლითაც სამხრეთ ირლანდიამ თვითმმართველობის უფლებები (დომინიონის უფლებები) მიიღო და იმ დროიდან ირლანდიის თავისუფალ სახელმწიფოდ იწოდება. ჩრდილოეთი ირლანდია ანუ ოლსტერი ამ შეთანხმებით ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოს შემადგენლობაში არ ყოფილა მოქცეული. ოლსტერს თავისი დამოუკიდებელი პარლამენტი აქვს და იგი დიდბრიტანეთის შეერთებული სამეფოს შემადგენლობაში შედის.

მაგრამ ამ რეფორმამ არ დააკმაყოფილა ირლანდიელები, რომელნიც განაგრძობდნენ ბრძოლას თავისი დამოუკიდებლობისათვის. 1937 წელს შემუშავებულ იქნა ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოს ახალი კონსტიტუცია, რომელიც ძალაში შევიდა იმავე წლის 29 დეკემბერს. ამ კონსტიტუციის თანახმად, ირლანდიის თავისუფალ სახელმწიფოს ეწოდება ეირე და იგი წარმოადგენს „სუვერენულ დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფოს“. 1938 წლის 4 მაისს არჩეულ იქნა ეირეს პირველი პრეზიდენტი. ეირეს დედაქალაქია დუბლინი.

* * *

ირლანდიის ხელოვნური დაყოფა ორ ნაწილად ძლიერ დაეტყო ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას.

ინგლისის მიერ ირლანდიელი ხალხის ჩაგვრამ გავლენა მოახდინა ამ ქვეყნის მეურნეობის მთელ განვითარებაზე; ეს ქვეყანა არსებითად მეტროპოლიის სასოფლო-სამეურნეო დანართს წარმოადგენს. ინგლისის ლიბერალებისა და ირლანდიის შესახებ ლენინი 1914 წელს დაწერილ სტატიაში აღნიშნავდა, რომ „ინგლისი საუკუნეთა განმავლობაში იმონებდა ირლანდიას, უმაგალითოდ სტანჯავდა, აწამებდა და ჰხოცავდა შიმშილით ირლანდიელ გლეხებს, ერეკებოდა მათ მიწებიდან, აიძულებდა მათ ასეულ ათასობით და მილიონობით დაეტოვებინათ სამშობლო და ამერიკაში გადასახლებულიყვნენ... ირლანდიელ გლეხთა უმაგალითო გაჭირვება და ტანჯვაწამება ერთერთი საგულისხმო ნიმუშია იმისა, თუ სადამდე მიდიან „გაბატონებული“ ერის მემამულეები და ლიბერალი ბურჟუები... ინგლისი „ჰყვაოდა“, ირლანდია კი გადაშენების გზას ადგა და განუვითარებელ, ნახევრად - ველურ წმინდა სამიწათმოქმედო ქვეყანად, ღატაკ გლეხ-მოიჯარეთა ქვეყანად რჩებოდა“... (ლენინი, ტომი XVII, გვ. 244).

მიუხედავად ზემოაღნიშნული რეფორმებისა, რომლებიც ინგლისის მთავრობამ გაატარა „ამბოხებული“ ირლანდიის დამშვიდების მიზნით, „ირლანდიის პრობლემა“ დღევანდლამდე გადაუჭრელი რჩება ინგლისისათვის. ირლანდიელი ხალხი განაგრძობს ბრძოლას ერთიანი დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნისათვის.

* * *

ყუმბარების აფეთქებას, რასაც ამ უკანასკნელ დროს ადგილი ჰქონდა ინგლისში და, კერძოდ, ლონდონში, ინგლისის პოლიცია აწერს ირლანდიელთა ფარულ ორგანიზაციას, რომელიც ცნობილია „ირლანდიის რესპუბლიკური არმიის“ სახელწოდებით. ეს ორგანიზაცია შექმნილი იყო იმ ირლანდიელ ნაციონალისტთა კადრებიდან, რომელნიც ინგლისელთა მიერ დუბლინის 1916 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდნენ.

გაზეთი „დეილი უორკერი“ — ინგლისის კომპარტიის ორგანო — ჰგმობს „ირლანდიის რესპუბლიკური არმიის“ ცალკეულ წევრთა ტერორისტულ მოქმედებას და აღნიშნავს, რომ ეს მოქმედება ხელს არ უწყობს ირლანდიელი ხალხის წარმატებით ბრძოლას თავისი ნაციონალური განთავისუფლებისათვის.

ამასთან ერთად,—ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, — არის ყველა საფუძველი ვიფიქროთ, რომ უკანასკნელი ტერორისტული აქტების მოწყობაში მონაწილეობას იღებდა გერმანიის ფაშიზმი.

ცნობილია, რომ გერმანიის აგენტები არაერთგზის ცდილან გამოეყენებინათ ირლანდია ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად. 1914-18 წლების გახურებული იმპერიალისტური ომის დროს გერმანია ცდილობდა გამოეყენებინა ინგლისის წინააღმდეგ ირლანდიის ნაციონალური მოძრაობა დამოუკიდებლობისათვის. გერმანიის ფაშისტური პრესა ახლაც სიხარულით აღნიშნავს, რომ ირლანდია ინგლისის თავდაცვის ყველაზე მტკივნეულ ადგილს წარმოადგენს.

პარტიული ცხოვრება

ბოლშევიკური დარაზმულობით ჩავატაროთ რაიონული პარტიული კონფერენციები

მოსკოვის რაიონული პარტიული კონფერენციები

მოსკოვი, 19 თებერვალი (საქდესი). დღეს დაიწყო მუშაობა დედაქალაქის 12 რაიონულმა პარტიულმა კონფერენციამ (მოლოტოვის, ლენინგრადის, როსტოკინოს, სოვეტსკის, ბაუმანის და სხვ. რაიონები).

კონფერენციების პირველი სხდომები მიეძღვნა XVIII პარტიული ყრილობისათვის ამხანაგ მოლოტოვის თეზისების შესახებ მოხსენებათა მოსმენასა და განხილვას.

მოლოტოვის რაიონის პარტკონფერენციაზე ამ თემაზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის ელექტროსადგურებისა და ელექტრო-მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. პერვუხინმა.

კამათში გამოსულნი ყველანი ერთსულოვნად იწონებენ ამხანაგი მოლოტოვის თეზისებს და შეაქვთ თავისი შენიშვნები და დამატებანი.

კონფერენციებზე დიდი აღფრთოვანებით მიღებულ იქნა მისალმებანი ამხანაგ სტალინისადმი. (საქდესი).

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიონის XIX კონფერენცია

19 თებერვალს, ძერჟინსკის სახელობის კლუბში გაიხსნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიონის XIX კონფერენცია. კონფერენცია გახსნა რაიკომის მდივანმა ამხ. გ. გოჩაშვილმა.

საქმიან პრეზიდიუმში კონფერენციამ აირჩია ამხანაგები: კ. ჩარკვიანი, კ. შეროზია, მ. ჯაში, ს. იმხანოვი, ა. რაფავა, გ. გოჩაშვილი, ვ. ტოგონიძე, ელ. ძნელაძე, ფ. მახარაძე, გ. სტურუა, ი. ხოშტარია, ი. თავაძე, ე. მაზანაშვილი, დ. ყიფშიძე, ლუდვიგოვი, გრიგორიანი, ბონდარენკო, მჭედლიძე, ლენკო.

ტაში დიდხანს არ ცხრება, როცა საპატიო პრეზიდიუმში ასახელებენ ხალხთა საყვარელ ბელადს დიდ **სტალინს**.

საპატიო პრეზიდიუმში კონფერენციამ აირჩია აგრეთვე ამხანაგები ვ. მოლოტოვი, კ. ვოროშილოვი, ლ. კაგანოვიჩი, მ. კალინინი, ა. ჟდანოვი, ა. ანდრეევი, ა. მიქოიანი, ნ. ეჟოვი, ლ. ბერია, ნ. ხრუშჩოვი, გ. დიმიტროვი, ე. ტელმანი, ხოზე დიასი.

საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხ. ვ. მოლოტოვის მოხსენების თეზისების შესახებ მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ტოგონიძემ.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ყიფშიძე (თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი), სიამაშვილი (საქვაჭრობის პარტკომის მდივანი), მაზანაშვილი (ორჯონიკიძის რაისაბჭოს თავმჯდომარე), გვასალია (სახოპერის პარტკომის მდივანი), ბონდარენკო (არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი), ცაგარეიშვილი (საქ. რადიო კომიტეტის თავმჯდომარე), ბურჭულაძე (პედინსტიტუტი) და სარჯველაძე.

გუშინ, საღამოს სხდომაზე, გრძელდებოდა კამათი ამხ. ვ. ტოგონიძის მოხსენების ირგვლივ.

— მესამე ხუთწლედის დასასრულს,—ამბობს საქ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. ო. თოდაძე, — ჩვენ უზრუნველყოფილი ვიქნებით მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ყველა საშუალებებით.

ამხ. თოდაძე ლაპარაკობს იმ დიდ ამოცანებზე, რომლებიც უნდა გადასჭრან საქ. ჯანსახკომის ორგანოებმა.

ლითოგრაფიის პარტორგანიზაციის პარტკომის მდივანი ამხ. სოვდაგაროვი კონფერენციას მოუთხრობს იმ საწარმოო აღმავლობის შესახებ, რომელიც გამოიწვია საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის მზადებამ ლითოგრაფიის მუშა-მოსამსახურეებში.

სოციალისტური საზოგადოების რევოლუციური კანონიერების განმტკიცების ამოცანების შესახებ ილაპარაკა საქ. რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ ამხ. ჯანჯღავამ. ამით დამთავრდა კამათი ამხანაგ ვ. მოლოტოვის მოხსენების თეზისებზე ამხ. ვ. ტოგონიძის მოხსენების გარშემო.

შემდეგ ამხანაგ ა. ჟდანოვის მოხსენების თეზისებზე მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანმა ამხ. პ. მჭედლიძემ.

ამხ. მჭედლიძის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: კიკვაძე, ლეკვეიშვილი, ლუდვიგოვი, დევიძე, ძნელაძე, პარტუგინი, მაჩაიძე, კაკაბაძე, და მაწულაიშვილი.

კამათის დამთავრების შემდეგ მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ამხ. პ. აზარაშვილის მოხსენება, რომელიც კონფერენციამ დაამტკიცა.

ამის შემდეგ კონფერენცია იხილავს დღის წესრიგის მეორე საკითხს—საქ. კ. პ. XII ყრილობისათვის დელეგატების არჩევას. დასახელებული იქნა საქ. კ. პ (ბ) XII ყრილობისათვის ასარჩევ დელეგატთა კანდიდატურები. ამით დამთავრდა კონფერენციის მეორე სხდომა.

კონფერენციის მესამე სხდომა შესდგება დღეს, საღამოს 10 საათზე.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის XIX კონფერენციის სხდომათა დარბაზში.

საქდესის ფოტოქრონიკა

ჭიათურელმა კომუნისტებმა შესანიშნავი წინადადებები წამოაყენეს

17 - 18 თებერვალს ჩატარდა ჭიათურის რაიონის მეთორმეტე პარტიული კონფერენცია, კონფერენცია გახსნა საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის მდივანმა ამხ. დავით ქურქულიანმა.

კონფერენციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევის შემდეგ, საპატიო პრეზიდიუმში ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** დასახელებას კონფერენციის მონაწილენი ხანგრძლივი ტაშითა და მისასალმებელი შეძახილებით შეეგებნენ. საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ აგრეთვე ამხანაგები: მოლოტოვი, კაგანოვიჩი, კალინინი, ვოროშილოვი, მიქოიანი, ანდრეევი, ჟდანოვი, ეჟოვი, ბერია, ხრუშჩოვი, დიმიტროვი, ტელმანი, ხოზე დიასი, ჩარკვიანი და ბაქრაძე.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ პირველ საკითხზე — საქ. კ. პ. (ბ) XVIII პარტყრილობაზე ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების თეზისების შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ი. ტალახაძე, ხოლო ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისებზე მოხსენება გააკეთა ამხ. დ. ქურქულიანმა.

კამათში ცხრამეტმა ამხანაგმა მიიღო მონაწილეობა; გამოსულმა ამხანაგებმა ერთსულოვნად მოიწონეს ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები და აღნიშნეს ის უდიდესი საწარმოო ენტუზიაზმი, რომელიც მეთვრამეტე პარტყრილობის მოწვევის ცნობამ გამოიწვია ჭიათურის მარგანეცის ქარხანა-მაღაროებში და რაიონის კოლმეურნეობებში. წინასაყრილობო შეჯიბრების გაშლის შედეგად გეგმის შესრულების მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს მთელმა რიგმა საწარმოო უბნებმა (ვოროშილოვის სახელობის მაღარო, ლენინის სახელობის მაღაროს მეთვრამეტე პარტყრილობის სახელობის უბანი და სხვ.).

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა მრავალი საქმიანი წინადადება შემოიტანეს, მაგალითად ამხ. ა. ცუცქირიძემ წამოაყენა წინადადება ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის და ტრანსპორტის რეკონსტრუქციისა და შორაპან-საჩხერის რკინის გზის ფართო ლიანდაგის გაყვანის შესახებ, რაც უზრუნველჰყოფს 1942 წლისათვის 2,5 მილიონი ტონა მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადებასა და გადაზიდვას.

ამხანაგებმა გ. ბიწაძემ და პ. გველესიანმა შემოიტანეს წინადადება— გათვალისწინებული იქნას მესამე ხუთწლედში საავტომობილო გზატკეცილის გაყვანა საჩხერედან ონამდე, რაც მოგვცემს საშუალებას დავუკავშირდეთ ჩრდილოეთ კავკასიას.

ამხ. შ. ხვედელიძემ შემოიტანა წინადადება — მესამე ხუთწლედში ჭიათურის რაიონში სოფელ კვერეთისა და წირქვალის მინერალური წყლების (აბანოს) რეკონსტრუქცია, როგორც საკავშირო მნიშვნელობის საკურორტო მინერალური წყლებისა. მანვე წამოაყენა მოსაზრება, რათა ჭიათურაში აიგოს სამთო ინსტიტუტი.

შესანიშნავი წინადადებები წამოყენებულ იქნა აგრეთვე საქ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ. ამხანაგ შ. ხვედელიძემ გამოსთქვა მოსაზრება, რათა გაუქმდეს თანამგრძნობთა ჯგუფები. ამხანაგმა კ. ღვალაძემ შემოიტანა წინადადება — შეტანილ იქნას წესდებაში პუნქტი ერთეული კომუნისტების ტერიტორიალურ პარტორგანიზაციაში გაერთიანების შესახებ.

ამხ. მ. ასატუროვმა შემოიტანა წინადადება, — წესდებაში განსაზღვრულ იქნას ვადა პარტიიდან გარიცხულთა აღდგენის შესახებ სააპელაციო განცხადების შეტანისა.

კონფერენციამ ერთსულოვნად მოიწონა ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები და მხარი დაუჭირა შემოტანილ წინადადებებს.

საქ. კ. პ. (ბ) მეთორმეტე ყრილობის დელეგატებად გადამწყვეტი ხმით კონფერენციამ აირჩია 14 ამხანაგი, მათ შორის ამხანაგები ი. ტალახაძე, ვ. საყვარელიძე, დ. ქურქულიანი, გ. ბიწაძე, ს. მიქიაშვილი და სხვ. სათათბირო ხმის უფლებით არჩეულ იქნა ორი კაცი.

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყვარელ ბელადს დიდ **სტალინს** და ქართველი ხალხის საუკეთესო შვილს ამხ. **ლ. ბერიას**.

ლ. ლოლაძე

რაიონული პარტიული კონფერენცია სოხუმში

საქ. კ. პ. (ბ) სოხუმის რაიონული კონფერენციაზე მოსმენილ იქნა პარტრაიკომის მდივნის ამხ. დ. ალანიას მოხსენება ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების თეზისების და ს. ისებუას მოხსენება ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისების შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღო 40 დელეგატმა, მათ შორის—ამხ. აფაქიძემ, ლევასოვმა, ხარბედიამ, აფშილავამ, აზნაურიანმა, სუტიაგინმა, ჩაკვეტაძემ, ოვანეზოვმა და სხვ.

კამათში გამოსული ამხანაგები ეხებოდნენ მეტად საინტერესო საკითხებს. მაგალითად, ფართოდ დაისვა მთაგორიანი რაიონების მექანიზაციის საკითხი. წამოყენებულ იქნა წინადადება, რომ მესამე ხუთწლედში მთაგორიანი კოლმეურნეობებისათვის გამოშვებულ იქნას სხვადასხვა შესაფერი მანქანები.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ერთსულოვნად იწონებენ ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისებს. კონფერენციამ საქ. კ. პ. (ბ) XII ყრილობაზე პირველ დელეგატად აირჩია ხალხთა ბელადი დიდი **სტალინი**. საქართველოს პარტიული ყრილობის დელეგატებად არჩეულ იქნენ აგრეთვე ამხანაგი **ლ. ბერია** და **კ. ჩარკვიანი**. კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ამხანაგებს **სტალინს, ბერიას** და **ჩარკვიანს**.

გ. მერკვილაძე

პირველი დელეგატია დიდი სტალინი

ზესტაფონის რაიონის მე-9 პარტიულმა კონფერენციამ მოისმინა რაიკომის მდივნების ამხ. ვ. ძიძიგურისა და ვ. წვერავას მოხსენებები მე-18 პარტყრილობაზე ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების შესახებ.

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 29 კომუნისტმა. სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა ერთსულოვნად მოიწონეს ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები.

კონფერენციამ საქ. კ. პ. (ბ) მე-12 ყრილობის დელეგატებად აირჩია ხალხთა დიდი ბელადი **სტალინი** და სტალინური სახკომი ამხ. **ლ. ბერია**. ყრილობის დელეგატებად გადამწყვეტი ხმით არჩეული არიან აგრეთვე ვ. ძიძიგური, კ. თარვამაძე, კ. კაპანაძე, ა. ღიბრაძე, ა. ხუციშვილი, მ. რაზმაძე, ნ. კვეტენაძე და სხვები,—სულ 15 კაცი. გარდა ამისა, არჩეულ იქნა 3 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით. დასასრულ, კონფერენციამ მისალმების დეპეში გაუგზავნა ყველა ქვეყნების მშრომელთა საყვარელ ბელადს დიდ სტალინს. მისალმებები გაეგზავნა აგრეთვე ამხანაგებს **მოლოტოვს, ბერიას** და **ჩარკვიანს**.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წარმომადგენელმა ამხ. ა. კოჭლავაშვილმა.

ვ. გოგიაშვილი

ზემო-სვანეთის რაიონული პარტკონფერენცია

ამ დღეებში ჩატარდა ზემო-სვანეთის პირველი სარაიონო პარტკონფერენცია, რომელსაც 44 დელეგატი დაესწრო. კონფერენციამ მქუხარე ტაშით საპატიო პრეზიდიუმში აირჩია სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი დიდი **სტალინი**, აგრეთვე ამხანაგები: მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, კალინინი, მიქოიანი, ანდრეევი, ჟდანოვი, ეჟოვი, ხრუშჩოვი, ბერია, დიმიტროვი, ტელმანი, ხოზე დიასი, ჩარკვიანი და ბაქრაძე.

კონფერენციამ მოისმინა ამხ. გ. ადამიას მოხსენება ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების თეზისებზე და ამხ. დ. წულეისკირის მოხსენება ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისებზე. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა მრავალი საინტერესო წინადადება შემოიტანეს. მიღებულ რეზოლუციაში ერთხმად იქნა მოწონებული ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები. დასასრულ არჩეულ იქნენ საქ. კ. პ. (ბ) მე-12 ყრილობის დელეგატები. კონფერენციამ მისალმების დეპეშა გაუგზავნა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანს ამხ. კ. ჩარკვიანს.

გ. ჭოგალია

ლენინგორის რაიონული პარტიული კრება

ლენინგორი, (საქდესი). ამ დღეებში შესდგა ლენინგორის რაიონის პარტიული კრება.

კრებამ მოიწონა ამხ. მოლოტოვისა და ამხ. ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები. კამათში გამოვიდა 14 კაცი.

პარტიის XVIII ყრილობის აღსანიშნავად,—ითქვა ვაშლოვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. რ. ბედოევმა,—ჩვენ ვიკისრეთ ვალდებულება სანიმუშოდ, ბოლშევიკურად მოვემზადოთ საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის.

ამხანაგებმა ბიჩენოვმა, თიგიევმა, კოდალაევმა, ძაგოევმა და სხვებმა ილაპარაკეს უდიდეს პოლიტიკურ და სამეურნეო აღმავლობაზე, რომელსაც ამჟამად მოუცავს რაიონის კოლმეურნეობები, ფერმები და ბრიგადები.

კრებამ ერთსულოვნად მოიწონა ამხ. მოლოტოვისა და ამხ. ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები და აირჩია საქ. კ. პ. (ბ) XII ყრილობის დელეგატები: ამხ. ვ. ალბოროვი გადამწყვეტი ხმით და კოლმეურნე-ქალი ამხ. ო. ტეხოვა სათათბირო ხმით.

კრებამ რაიკომის შემადგენლობაში შეიყვანა ამხ. ვ. ალბოროვი.

სიკო ფაშალიშვილი

სოფელი კვერნაკის ქედთან

— ჩვენი სოფელი, შენ ხარ ჩემი მოკეთეო, ეხლა ის აღარ არის, წინათ რომ გინახავს: ეხლა ჩვენი სოფელი ერთ კოლექტივათ გახლავს გაერთიანებული; როცა ამბობენ: ხელთუბანიო—ეს ჩვენს კოლმეურნეობაზეა ლაპარაკი, ან როცა კოლექტივ „განთიადზე“ მოგახსენებენ—ეს ხელთუბანს ეხება მთლიანათა. აი, იმ გაშლილ ხილის ბაღებს რომ ხედავ—სულ ჩვენია, ის გაფენილი ნახნავებიცა, ეს ბეღლებიც, აგერ ის ნახირიც ჩვენია „განთიადელებისაი“. აკი მოგახსენე, ეხლა ის აღარ არის ჩვენი სოფელი, წინათ რომ გინახავს-მეთქი...

ამ სიტყვებს დამაჯერებელი სიამაყით ამბობს ხელთუბნის კოლმეურნეობის ბრიგადირი ვანო ფალელაშვილი. ეს ტანჯმუხი, ენერგიული გამომეტყველების კაცი თავისებური მეტაფორებით გვიყვება ამბავს, ქართლური სიდინჯითა და საზრიანობით მოგვითხრობს იმ დიდ სოციალურ ძვრებზე — საკოლმეურნეო წყობას მათ სოფელშიც, რომ შეუტანია, გვიამბობს ძველი მიჯნების წაშლაზე, შესანიშნავ წარმატებებზე, იმაზე, თუ კოლექტივმა როგორ გაშალა ისინი წელში, როგორ დააყენა შეძლებული ცხოვრების გზაზე.

— აი, ეს ჩემზე უფრო ხნიერი კაცია,—მიგვითითებს ის გვერდზე მდგომ ჭაღარა კოლმეურნეზე, — ძველი სიდუხჭირე მაგას მეტი ახსოვს: წინათ ღატაკი იყო, უსახლკარო, ეხლა სტახანოველია ჩვენს „განთიადში“. ეგეთი სახლი წამოჭიმა, რომ თქვენი მოწონებული.

— რაღა მე? სახლი სხვამაც ბევრმა აიშენა ჩვენს კოლმეურნეობაში,—კმაყოფილი მოკრძალებით მიუგებს მას ჭაღარა და თვალები უღიმის. გვერდზე მდგომი კოლმეურნეები ჩაღიმიან, სიტყვებს აშველებენ მას და ჩქარდება საუბარი.

ეს საუბარი მით უფრო მიმზიდველია, რომ სიტყვებს სჭარბობს ფაქტები, რომლებიც მეტყველებენ, და ამ ფაქტების ფონზე უფრო აშკარად ხედავ, რომ დიდადაც გამოცვლილა ხელთუბანი.

ხელთუბანი გორის გარეუბნის სოფელია. იგი მდებარეობს კვერნაკის ქედის ძირში, საიდანაც იშლება ქართლის აუწერელი სილამაზის პანორამა—მტკვრისა და ლიახვის ფართო ხეობა თავისი ბარაქიანი მინდვრებითა და ხილის ბაღებით. მისი ბექობიდან მოსჩანს გორის ციხე, მდინარე მეჯუდას და ლიახვის დახრამული კალაპოტების გადაღმა კი—აშურიანის ტაფობი, არხებით დაქსელილი და ბაღებით დაჩითული.

ეს სახარბიელო გეოგრაფიული მდებარეობაც კი თავის წილ პატივსა და ავტორიტეტს ანიჭებს ამ სოფელს. მის მიდამოებში შესვლისას გულს შინაგანი ღელვა ედება—ეს ხომ ის მიდამოებია, სადაც ხალხთა დიდმა ბელადმა, მშობლიურმა სტალინმა ბავშვობა გაატარა. შეიძლება აქ, თქვენს წინ არის კენჭი, რომელზედაც მას ფეხი დაუდგამს, ან ხე, რომლის ჩრდილში მდგომს მზიანი თვალებით უყურებია ამ ფართო ველებისა და ბორცვებისათვის, ამ მთების ჩარჩოში ჩამჯდარი სილამაზისათვის — დღეს რომ დოვლათისა და სიხარულის კერად გადაუქცევია მის სიბრძნესა და მზრუნველობას.

აი თუნდაც ხელთუბანი ავიღოთ: როგორც ასობით სხვა სოფელი ქართლში — ესეც ჩვეულებრივი, უფერული, ღატაკი ქოხმახების გროვას წარმოადგენდა. დაქუცმაცებული ბალჩა-ბოსტნები მიჯნებსა და მოღრეცილ ღობეებს დაეხაზა, მწირი, ურწყავი, უბარაქო მიწა არ იმეტებდა მოსავალს, ნახნავებში ჩაღვრილ ოფლს გვალვა ჰფიტავდა—ხოლო გაჭირვება სამოჯამაგიროდ ერეკებოდა აქაურ გლეხებს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ მოგონებად აქცია ეს ამბები. საკოლმეურნეო წყობამ ხელთუბანშიც წაშალა მიჯნები და გზა გაუხსნა ბარაქას, შეძლებულ, ბედნიერ ცხოვრებას.

* * *

კოლმეურნეობა „განთიადი“ 1930 წელში ჩამოყალიბდა. მაშინ ეს იყო პატარა სამეურნეო ერთეული, რადგან მის წევრებს არც გამწევი ძალა გააჩნდათ საკმაო, არც ხეხილნარგავი ფართობი. რაიონი კი უმთავრესად მემინდვრეობასა და მეხილეობას მისდევდა.

სულ 3½ ჰექტარი ხილის ბაღი, თითქმის ამავე ფართობის ბოსტნები და სახნავი მინდვრები—აი იყო მაშინ „განთიადელების“ ავლადიდება. მაგრამ მათ დაინახეს უდიდესი პერსპექტივა, რაც კოლექტივიზაციის განვითარების საქმეს შეუქმნა პარტიამ და ხელისუფლებამ: აი, ტირიფონის არხმა აქაურ მინდვრებშიც შემოაჯაგუნა ლიახვის ტალღები, ქართლის ველებს გული გაუნედლდა, გორში საკონსერვო ქარხანა აგუგუნდა, აგარაში—შაქრისა. ჭარხალი, ხილი, ბოსტნეული, მესაქონლეობა, მარცვლეული — აი რა დოვლათის მოცემა შეეძლო აქაურ მიწას. ამისათვის საქმის კარგი ორგანიზაცია და გულმოდგინე გარჯა იყო მხოლოდ საჭირო.

სწორედ ეს შესანიშნავი უნარი გამოამჟღავნა „განთიადის“ თავმჯდომარემ—ვანო ჯანეზაშვილმა. ეს სტალინური წრთობის ოცდახუთიათასელი რკინიგზელი მუშა სათავეში ჩაუდგა კოლმეურნეობის განმტკიცებისათვის ბრძოლას და სულ მალე მთელი სოფლის ნდობა და სიყვარული მოიხვეჭა. მისმა ავტორიტეტმა და მოწინავე კოლმეურნეთა მაგალითის ძალამ სულ მალე კოლექტივში გააერთიანა მთელი სოფელი და ამით მტკიცე საფუძველი შეუქმნა მის განვითარებას.

იმავე წელს საპლანტაჟო ტრაქტორებმა გააფხვიერეს ხელთუბნის ნახრიოკალი ყამირები და კოლმეურნეობამ ჯიშიანი ხეხილის 7 ჰექტარიანი ბაღი გააშენა, შემდეგ ახალნაშენი თანდათან გაიზარდა და 46 ჰექტარს მიაღწია, 1936 წელში კი—კოლმეურნეობას გადაეცა ქვემო-ახალსოფლის საბჭოთა მეურნეობისეული 42 ჰექტარიანი ბაღები და, ამრიგად, „განთიადის“ ხეხილნარგავთა მასივებმა 92 ჰექტარს მიაღწია.

მიუხედავად ამისა, მეხილეობა ხელთუბნის კოლმეურნეობისათვის მაინც ძირითად დარგს არ შეადგენდა: იგი თავიდანვე უმთავრესად მემინდვრეობის განხრით მიდის და წელს მარტო ჭარხლით დათესილი აქვს 58 ჰექტარი, ხოლო გასულ წლის მოსავლიდან 70144 ცენტნერი მარცვლეული ჩააბინავა ახლად აშენებულ ბეღლებში. დაუმატეთ ამას 35 ჰექტარზე გაშენებული ბოსტნებიც, რომლებიც ასეულ ტონობით პროდუქციას აწვდიან გორის საკონსერვო ქარხანას და საკოლმეურნეო ბაზრებს.

მეძროხეობა - მეღორეობისა და მეცხვარეობის ფერმები, ცხენის ჯოგი, მუშა-საქონლის მოზრდილი ნახირი—ასეთია კოლმეურნეობის, ასე ვთქვათ, „დამატებითი“ დარგები.

ეს ყველაფერი არა თუ ჩვეულებრივი არ არის კოლმეურნეობამდელი ხელთუბნის ცხოვრებაში, არამედ ისეთი დოვლათია, რომლის ოცნებაში წარმოდგენაც კი აქ წინათ არავის შეეძლო.

იმის წარმოსადგენად, თუ რა ბალანსსა ჰქმნის ეს დოვლათი სოფლის ცხოვრებაში, საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო გასული წლის მოსავლის ჯამი — ფულზე გადაყვანით 700,268 მანეთს უდრის. ამას თუ მივუმატებთ კოლმეურნეობის საწესდებო ქონებასაც, „განთიადი“ ჩვენს თვალწინ წარმოსდგება, როგორც მილიონზე მეტი შეძლების პატრონი.

კოლმეურნეობაში ითვლება 319 კომლი (მთელი სოფელი—გარდა ოთხი ოჯახისა), აქედან გარდა 8 ოჯახისა ახლა ყველას ჰყავს ძროხა. უმრავლესობას ჰყავს ღორიც. იგულისხმეთ კოლმეურნეთა საკარმიდამო მეურნეობის შემოსავალიც, რაც თვითეულ ოჯახს საშუალოდ 2-3 ათას მანეთს მაინც აძლევს წლიურად.

* * *

ხელთუბნის მილიონერი კოლმეურნეობა „განთიადი“ მოწინავეა მთელს გორის რაიონში. თავისი შესანიშნავი წარმატებებით იგი ახლა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ღირსეული კანდიდატია და წარმატებებით ხვდება ორ ისტორიულ თარიღს: საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობას და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 18 წლისთავს.

განვლილმა 18 წელმა ახალი იერი მისცა ხელთუბანს, შესცვალა მისი სახე, კულტურა და ხალისი შეიტანა მასში. შეძლებულმა ცხოვრებამ წელში გამართა, მიწურებიდან გამოიყვანა მანამდე არაფრისმქონე, ნამოჯამაგირალი, უსახლკარო გლეხები—დღეს მოწინავე კოლმეურნეები. მათ, მართლაც, „ისეთი სახლები წამოჭიმეს, რომ თქვენი მოწონებული“: აი არჩილ ანესაშვილმა, ქვრივმა ელენე კოჩუაშვილმა, კოტე მელაძემ, ისაკი ბაშინჯაღელმა და სხვებმა ქვითკირის სახლები აიშენეს, ოჯახები მოაწყეს და სხვა კოლმეურნეებს მხარში ამოუდგნენ კულტურული ცხოვრებით. თვით სოფელმაც შეიცვალა გარეგნობა,—მის შუაგულში ახლა შვიდწლედია წამოჭიმული, მალე კლუბის აგებასაც დაიწყებენ. აბანოსა და ფურნეს ააშენებენ, გაიყვანეს მშვენიერი წყაროს წყალი, აშენდა წისქვილი, მოეწყო საბავშვო ბაგა და სხვა კულტურული ერთეულები.

ამ წინსვლისა და განახლების სათავე კოლმეურნეობა „განთიადია“. ხელთუბნელებიც თავდადებით მუშაობენ მისი შემდგომი განმტკიცებისათვის. საკოლმეურნეო მინდვრების სოციალისტური შრომის ოსტატები ვანო ფალელიშვილი, ბაგრო ანესაშვილი, ვასო გელიაშვილი, ილიკო კოჩუაშვილი და ათეული სხვა მოწინავე ადამიანი ნერგავს მუშაობის სტახანოვურ სტილს — ხოლო მათ მაგალითზე სწავლობენ დანარჩენებიც.

ამ დღეებში „განთიადელთა“ საერთო კრებამ დაამუშავა საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები. კოლმეურნეები აღმაფრთოვანებელი სიტყვებით გამოვიდნენ და მრავალმა მათგანმა მარია დემჩენკოს სტილით მუშაობის ვალდებულება აიღო.

— ჭარხლის მოსავლის გადიდება 350 პროცენტით—ასეთია ჩემი ვალდებულება XVIII ყრილობის მოწვევის გამო, — დაასრულა თავისი სიტყვა სტახანოველმა ანესაშვილმა. მან შეჯიბრებაში გამოიწვია კოლმეურნეობაში ჩამოყალიბებული XVIII ყრილობის სახელობის ბრიგადები. ამ ბრიგადებში შედიან მთლიანად სტახანოველი მემინდვრეები და მებაღეები. მათ პირობა დასდეს, რომ იბრძოლებენ გარდამავალი დროშის შენარჩუნებისათვის, რომელიც მათს კოლმეურნეობას უკვე მეორე წელია ამშვენებს, როგორც მთელს რაიონში სანიმუშო მუშაობისათვის მიღებული ჯილდო.

სასახელო გამოცდილების საფუძველზე კიდევ უფრო იზრდება, მტკიცდება და ძლიერდება „განთიადი“ და ამით უზრუნველჰყოფს ახალ წარმატებებს.

და როდესაც ეცნობით მთელი ამ წარმატებების ჯამს, უფრო გასაგები ხდება სტახანოველ კოლმეურნე ფალელიშვილის ამაყი სიტყვები იმის შესახებ, რომ აღორძინებული ქართლის გულში, კვერნაკის ქედის გვერდით მდებარე სოფელი ხელთუბანი დღეს ის აღარ არის, ძველად რომ გინახავთ.

ოღონდაც, იგი სასახელოდ გამოცვლილი, დაწინაურებული სოფელია.



კატალონიიდან საფრანგეთში გადმოხვეწილი ლტოლვილები აუტანელ მდგომარეობაში არიან. სურათზე: ლტოლვილი ქალი მოსაზღვრე პუნქტ ბურგ-მადამში ელოდება საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნას.

საქდესის ფოტოქრონიკა

ინგლისი და გენერალი ფრანკო

ნიუ-იორკი, 19 თებერვალი (საქდესი). გაზეთ „ჰერალდ ტრიბიუნის" კარგად ინფორმირებული ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ამერიკის ელჩს ლონდონში კენედის საუბარი ჰქონდა ჩემბერლენთან და ჰალიფაქსთან. კენედიმ ჩემბერლენსა და ჰალიფაქსს გააცნო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის თვალსაზრისი ინგლისისა და საფრანგეთის მიერ გენერალ ფრანკოს მომავალ ცნობასთან დაკავშირებით.

გაზეთი „ჰერალდ ტრიბიუნი" სწერს, რომ ინგლისის მთავრობის მიერ ჰოჯსონისათვის (ინგლისის აგენტი ბურგოსში) მიცემულ ინსტრუქციებში არ არის მოხსენებული მოთხოვნა იტალიისა და გერმანიის ჯარების ესპანეთიდან გაყვანის შესახებ.

შვეიცარიამ იცნო ფრანკოს „მთავრობა"

შვეიცარიის პრესა იუწყება, რომ შვეიცარიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება იცნოს დე-იურე გენერალ ფრანკოს „მთავრობა".

შვეიცარიის მუშათა პრესა აღნიშნავს, რომ თავისი გადაწყვეტილება ფრანკოს ცნობის შესახებ შვეიცარიის მთავრობამ მიიღო რომისა და ბერლინის ზეგავლენით. (საქდესი).

ესპანეთის რესპუბლიკის თავდაცვითი შესაძლებლობანი

პარიზი, 19 თებერვალი (საქდესი). ესპანის სააგენტო გადმოგვცემს მადრიდიდან მიღებულ დეპეშას, რომელშიაც დაწვრილებით არის აღწერილი ესპანეთის რესპუბლიკის თავდაცვითი შესაძლებლობანი. სააგენტო აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც მეამბოხეებმა 1938 წლის აპრილში ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს მიაღწიეს, რესპუბლიკური ესპანეთის ცენტრალური ზონა სამხედრო თვალსაზრისით იზოლირებულ და ავტონომიურ ზონად გადაიქცა, ცენტრსა და კატალონიას შორის ყველა გზა გადაჭრილი იყო. შესაძლებელი იყო რესპუბლიკელთა რიცხვობრივად განსაზღვრული მხოლოდ ცალკეული რაზმების გაგზავნა ერთი ზონიდან მეორეში ფლოტისა და ავიაციის დახმარებით.

რესპუბლიკური ესპანეთის ცენტრალურ ზონას აქვს სანაპირო ხაზი, რომლის მანძილიც დაახლოებით 600 კილომეტრს უდრის. უმნიშვნელოვანესი პუნქტები—ვალენსია, ცენტრალური ზონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, და ალმერია სამხრეთში—მდებარეობენ: პირველი—ფრონტიდან 45 კილომეტრისა და მეორე—85 კილომეტრის მანძილზე. კარტახენა-მურსიას სექტორის ირგვლივ ფრონტი ჰქმნის ფართო ნახევარწრეს, რომლის საშუალო რადიუსი 320 კილომეტრს უდრის.

გარდა სანაპიროსი, რომლის დაცვაც შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას ფლოტით, ავიაციის ესკადრილიებითა და სპეციალური ჯარით, ფრონტის ხაზი სიგრძით 1300 კილომეტრს უდრის. ამ ფრონტზე თავმოყრილია 500 ათასზე მეტი რჩეული ჯარისკაცი, რომლებსაც მნიშვნელოვანი რეზერვები მოეპოვებათ. ცენტრალური ზონის მოსახლეობა დაახლოებით 8 მილიონ კაცს აღწევს.

საფრანგეთის მთავრობის სხდომა

პარიზი, 19 თებერვალი (საქდესი). გუშინ შესდგა საფრანგეთის მთავრობის სხდომა. სხდომა მიძღვნილი იყო იმ ესპანელ ლტოლვილთა პრობლემებისადმი, რომლებიც საფრანგეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან.

საფრანგეთის მთავრობის სხდომის შესახებ გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობაში აღნიშნულია, რომ მთავრობას განზრახული აქვს განაგრძოს ესპანელ ლტოლვილთა გაგზავნა მეამბოხეთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე.

საფრანგეთის საზოგადო მოღვაწეთა დელეგაცია შინაგან საქმეთა მინისტრთან

პარიზი, 19 თებერვალი (საქდესი). გაზეთი „სე სუარი" იუწყება, რომ 17 თებერვალს შინაგან საქმეთა მინისტრს ალბერ საროს ეწვია საფრანგეთის ცნობილ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა დელეგაცია, რომელშიაც სხვათა შორის შედიოდნენ სენატორი მორიზე, ფრანსის ჟურდენი და სიუზანა ლაკორი. დელეგაციამ მინისტრს მიმართა თხოვნით პარიზის რაიონში ჩასვლის ნება დართოს ესპანელ ლტოლვილთა ბავშვებს. დელეგაციამ მიუთითა, რომ ფრანგების 2 ათასზე მეტმა ოჯახმა უკვე გამოსთქვა სურვილი ასაზრდელად აიყვანოს ესპანელ ლტოლვილთა ბავშვები. მაგრამ მინისტრმა უარყო დელეგაციის ეს თხოვნა და განაცხადა, რომ ესპანელ ლტოლვილთა ბავშვების ჩამოსვლა პარიზის რაიონში შეუძლებელია „გამწვავებული საერთაშორისო მდგომარეობის გამო".

იმავე გაზეთს მოჰყავს თავისი კორესპონდენტის ცნობა იმ ბანაკის მდგომარეობის შესახებ, რომელიც ესპანელ ლტოლვილთათვის არის შექმნილი ტურ დე კაროლში. კორესპონდენტი სწერს, რომ ტურ დე კაროლში 10 ათასი ლტოლვილი განსაკუთრებით მძიმე პირობებში იმყოფება. 8 დღის განმავლობაში აქ 102 ესპანელი ლტოლვილი გარდაიცვალა.

რუზველტის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 19 თებერვალი (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რუზველტმა, რომელიც ამერიკის ფლოტის მანევრების რაიონში მიემგზავრება, კეივესტში (კუნძულ ფლორიდის შტატის სამხრეთით) ორი სიტყვა წარმოსთქვა რადიოთი. პირველ სიტყვაში, რომელიც მიეძღვნა პან-ამერიკული გამოფენის გახსნას ტამპაში (ფლორიდის შტატი), რუზველტმა განაცხადა, რომ „სოლიდარობა ამერიკის ქვეყნებს შორის საგრძნობლად გაძლიერდა და რომ ამ ქვეყნებმა გადასწყვიტეს დაიცვან თავისი დამოუკიდებლობა". შეეხო რა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას, რუზველტმა განაცხადა:

„ჩვენ არ მივისწრაფვით სხვისი ტერიტორიების დაპყრობისაკენ და თვალი არ გვიჭირავს ჩვენი მეზობლების ნედლეულზე. ჩვენ მხარს დავუჭერთ ყოველ პატიოსან წინადადებას შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. ჩვენ ძალის გამოყენების წინააღმდეგი ვართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საჭიროა აგრესიისათვის წინააღმდეგობის გაწევა".

მეორე სიტყვაში, რომელიც მიეძღვნა საერთაშორისო გამოფენის გახსნას სან-ფრანცისკოში, რუზველტმა განაცხადა, რომ ამერიკის ქვეყნებმა უნდა შეინარჩუნონ მშვიდობიანობა დასავლეთ ნახევარსფეროში და უჩვენონ „საერთაშორისო სოლიდარობისა და თანამშრომლობის" მაგალითი.

○

ნიუ-იორკი, 19 თებერვალი (საქდესი). პრესის წარმომადგენელთან საუბარში რუზველტმა განაცხადა, რომ მას განზრახვა აქვს ამერიკის ფლოტის მანევრებიდან ვაშინგტონს დაბრუნდეს 4 მარტს და, შესაძლოა, უფრო ადრეც, რადგან მან მიიღო შემაშფოთებელი ცნობები საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი იუწყება: „რუზველტმა მიიღო ცნობები, რომ ზოგიერთი უცხო სახელმწიფო კვლავ ემუქრება აგრესიით იმ ქვეყნებს, რომლებსაც ამერიკის შეერთებულ შტატებთან მეგობრული დამოკიდებულება აქვთ. პრეზიდენტს აცნობეს, რომ ევროპის ზოგიერთი სახელმწიფო დემოკრატიულ ქვეყნებს ჩვეულებრივი დიპლომატიური გზით კი არ უყენებს მოთხოვნებს, არამედ სხვა საშუალებით. რუზველტის განცხადება მოწმობს, რომ იგი აშკარად შეშფოთებულია ახალი საერთაშორისო კრიზისის შესაძლებლობით".

ჩან კაი-შის გამოსვლა რადიოთი

ჩუნცინი, 19 თებერვალი (საქდესი). გუშინ ჩან კაი-შიმ სიტყვა წარმოსთქვა რადიოთი. თავის სიტყვაში ჩან კაი-შიმ განაცხადა: „მტრის ბარბაროსული შემოსევა 19 თვეა გრძელდება. ახლა ჩვენი განმანთავისუფლებელი ომი შევიდა მეორე მეტად კრიტიკულ პერიოდში, როცა უნდა გადასწყდეს ომის შედეგი და მთელი ჩვენი ერის ბედი. ჩვენ უნდა დავძლიოთ ამ გადამწყვეტი პერიოდის სიძნელენი, გავანადგუროთ მტერი და მოვიპოვოთ საბოლოო გამარჯვება. მხოლოდ მაშინ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას ჩვენი ერის გაფურჩქვნა და ხალხის ბედნიერი ცხოვრება".

საგაფიცვო მოძრაობა ინგლისში

ლონდონი, 19 თებერვალი (საქდესი). ინგლისში ამჟამად მიმდინარეობს 4 გაფიცვა ისეთ საწარმოებში, რომლებსაც დიდი თავდაცვითი მნიშვნელობა აქვთ. გაფიცვები ხდება იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ მეწარმენი ცდილობენ ქვეყნის შეიარაღებული ძალების გადიდებისათვის წარმოებული კამპანია გამოიყენონ იმ მიზნით, რათა შეჰკვეცონ პროფკავშირული ორგანიზაციების უფლებანი და შეარყიონ მდგომარეობა საწარმოებში.

ქ. ბროუს ფირმა „ბლეკბერნის" საავიაციო ქარხნებში ამჟამად გაფიცულია 500 მუშა, რომლებიც მეწარმეებისაგან მოითხოვენ — არ მიიღონ სამუშაოზე პროფკავშირის არაწევრები. ჩორლეის (ლანკაშირი) იარაღის სახელმწიფო ქარხანაში გაფიცული არიან ელექტროტექნიკოსები, რომლებმაც ასეთივე მოთხოვნები წამოაყენეს.

კლაიდბენკის (შოტლანდია) ფირმა „ჯონ ბრაუნის" უდიდეს გემთსაშენში მემოქლონეთა გაფიცვის შედეგად შეჩერებულია ყველა სამუშაო იმ სამხედრო ხომალდებზე, რომლებიც ახლა შენდება. გუშინ დაიწყო გაფიცვა ოლდჰაიმის (ლანკაშირი), ფირმა „ჰობსონის" ქარხანაში, სადაც მზადდება კარბიურატორები საავიაციო მოტორებისათვის. ამ ორი საწარმოს გაფიცული მუშები პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ ადმინისტრაცია ცდილობს ნაკლებად კვალიფიციურ მუშებს (ე. ი. ნაკლებ ხელფასიანებს) გადასცეს ზოგიერთი სამუშაო, რასაც დღემდე მაღალკვალიფიციური მუშები ასრულებდნენ.

უკანასკნელი ცნობები

პოლონეთმა იცნო ფრანკოს „მთავრობა"

ვარშავა, 20 თებერვალი (საქდესი). თანახმად საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობისა, პოლონეთის მთავრობამ იცნო დე-იურე გენერალ ფრანკოს ფაშისტური „მთავრობა".

სირიის მთავრობის გადადგომა

პარიზი, 20 თებერვალი (საქდესი). მემარჯვენე-ბურჟუაზიული გაზეთის „ექსცელსიორის" მიერ დამასკიდან (სირია) მიღებული ცნობის მიხედვით, სირიის ჯამილ მარდაშის მთავრობა გადადგა ამ „ახლო ხანში პოლიტიკურ ვითარებაში მომხდარ ცვლილებასთან" დაკავშირებით, რაც გამოწვეულია იმით, რომ საფრანგეთის მთავრობამ უარი განაცხადა საფრანგეთ-სირიის ხელშეკრულების რატიფიკაციაზე.

○

1936 წელს სირიასა და საფრანგეთს შორის ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც საფრანგეთს 1939 წელს უარი უნდა ეთქვა სირიაზე მიღებულ მანდატზე და დამოუკიდებლობა მიენიჭებინა ამ უკანასკნელისათვის (ანალოგიური ხელშეკრულება დადებული იყო აგრეთვე ლიბანთან). მაგრამ 1938 წლის დასასრულს, ესე-იგი ამ ხელშეკრულების განხორციელების წინ, საფრანგეთმა უარი განაცხადა საფრანგეთ-სირიის ხელშეკრულების რატიფიცირებაზე. საფრანგეთის უარმა ძლიერი უკმაყოფილება გამოიწვია სირიაში.

ქართველი მწერლები მოსკოვში

მოსკოვი, 20 თებერვალი (ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან). გუშინ მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობაში შესდგა თათბირი ქართველი ორდენოსანი მწერლების მონაწილეობით. დღეს მათი მონაწილეობით ჩატარდა თათბირი საბჭოთა მწერლების კავშირის ქართულ კომისიაში. ხვალ მწერალთა მოსკოვის კლუბში შესდგება ქართული პოეზიის საღამო. ამხ. გოლცევის შესავალი სიტყვის შემდეგ გამოდიან საქართველოს პოეტები, რომლებიც წაიკითხავენ თავის ლექსებს, და მთარგმნელები პასტერნაკი, ტიხონოვი, ანტოკოლსკი და სხვ.

„ლიტერატურნაია გაზეტა" დღეს ათავსებს გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ილო მოსაშვილისა და ალიო მაშაშვილის ლექსების თარგმანებს. ამხ. დადიანი, აბაშიძე, ქიაჩელი, კლდიაშვილი, შენგელაია და შანშიაშვილი გაზეთის ფურცლებზე მოგვითხრობენ თავიანთ შემოქმედებითს გეგმებზე. სტატიაში „ქართული პოეზიის ხასიათის შესახებ" გოლცევი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში „ქართული ლიტერატურა განსაკუთრებით გაიზარდა მხატვრულად და განმტკიცდა იდეურად".

ძველი თბილისის „ცოცხალი" კუთხე

თბილისის ქალაქის მუზეუმში ამჟამად ამუშავებენ ძველი თბილისის ნაკრძალ უბანში (ფეთხაინი) მუზეუმ-კვარტალის მოწყობის გეგმას. ამ გეგმის დამუშავებას ხელმძღვანელობს თბილისის ქალაქის მუზეუმის დირექტორი ამხ. ნ. ბადრიაშვილი, რომელმაც ჩვენს თანამშრომელს გადასცა შემდეგი:

— ჩვენი მიზანია აღვადგინოთ და სათანადოდ მოვაწყოთ ნაკრძალი მთლიანად, მაგრამ ჯერჯერობით ვკმაყოფილდებით მარტო ერთი კვარტალის აღდგენა-მოწყობით. ძველებური ბანიანი სახლები აქ შენარჩუნებულია, მაგრამ ეს სახლები შეკეთებას საჭიროებენ. შემდეგში, როცა მეტი თანხები გვექნება, ვფიქრობთ აღვადგინოთ მთელი ნაკრძალი, შევაკეთოთ ძველი სახლები, ეკლესიები, გავაკეთოთ ისეთივე ქვაფენილები, როგორც ძველ თბილისში იყო, გავაკეთოთ ნავთის სანათურები, ძველებურად მოვაწყოთ საცხოვრებელი ბინები და სხვ. ამ მხრივ თბილისის ნაკრძალი უბანი თავისებური მუზეუმი იქნება, ისეთი როგორიც არცერთ სხვა ქალაქს არა აქვს.

წელს კი, როგორც აღვნიშნე მოვაწყობთ ერთ კვარტალს. აქ აღვადგენთ ქვაფენილსაც, ფილაქნებსაც და რამდენიმე ბინას. მოვაწყობთ, მაგალითად, ღარიბი ძველი თბილისელის ბინას, მდიდარი „მოქალაქის" ბინას, ხელოსნების ბინებს და სხვ. ამ ბინებში გავმართავთ ძველ თბილისელთა მხატვრულ ფიტულებს, ძველებურ ტანისამოსსა და თავსახურავებში. ქუჩაშიც აღვმართავთ კინტოს და სხვა იმდროინდელ „მოქალაქეთა" ფიგურებს. მთელი ეს სამუშაო შესრულებული იქნება თანდათანობით.

ასეთი იქნება ძველი თბილისის „ცოცხალი" კუთხე, რომელიც ამჟამად არსებულ დიდ კიბესთან (ფეთხაინის კიბე) მოეწყობა.

ახალი ტრესტი

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა მოახდინოს აბანოს ტრესტის რეორგანიზაცია და მის მაგიერ დააარსოს აბანო-სამრეცხაოების ტრესტი. ახალი ტრესტი გააერთიანებს რაიონული საბჭოების სისტემაში შემავალ აბანოებს, სამრეცხაოებს, საპარიკმახეროებს და რკინიგზის წითელი ჯვრის საპარიკმახეროებს.

გამოყოფილია კომისია, რომელმაც უნდა გამოიმუშაოს ღონისძიებები ახალი ტრესტის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

თბილისი. რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი პლეხანოვის პროსპექტზე.

საქდესის ფოტოქრონიკა

სასამართლო

გამცდენთა მფარველები

თბილისის მუსიკალური კომბინატის მშენებლობაზე ადგილი ჰქონდა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის, სახალხო კომისართა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს 1938 წლის 28 დეკემბრის დადგენილების უხეშ დარღვევას.

მშენებლობის მუშებმა რ. არსიაშვილმა, ვ. იორამაშვილმა, ა. ხატიაშვილმა, ა. ლელიაშვილმა, ი. ტაბუაშვილმა, ი. ზორგაშვილმა, ი. რეზანოვმა და სხვებმა თითო დღე გააცდინეს, მთელმა რიგმა მუშებმა 4-4 საათით დაიგვიანეს. სულ იანვარში კი სამუშაო დღეების გაცდენისა და სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადების 21 შემთხვევას ჰქონდა ადგილი. მაგრამ მშენებლობის უფროსი მიხეილ შალვას-ძე ფალავანდიშვილი და მთავარი ინჟინერი მიხეილ სამსონის-ძე ჩიქოვანი შრომის დეზორგანიზატორების წინააღმდეგ არავითარ ზომებს არ იღებდნენ, პირიქით, ხელსაც კი აფარებდნენ მათ.

მ. შ. ფალავანდიშვილი და მ. ს. ჩიქოვანი პასუხისგებაში მისცეს.

მათი საქმე საჩვენებელი პროცესით გაარჩია ლენინის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. პ. შარაშიძის თავმჯდომარეობით და მ. შ. ფალავანდიშვილს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 1½ წლის ვადით, მაგრამ მიიღო მხედველობაში ის, რომ იგი პირველად არის პასუხისგებაში და სასჯელი 1 წლის იძულებითი მუშაობით შეუცვალა.

მეორე ბრალდებულის მ. ს. ჩიქოვანის საქმე სასამართლომ ცალკე გამოჰყო წინასწარი გამოძიებისათვის.

მ. სურგულაძე

ტურისტული ბაზა აფხაზეთის სვანეთში

სოხუმი (საკ. კორ.). აფხაზეთი ემზადება ტურიზმის სეზონისათვის. უამრავი ტურისტი მოდის აფხაზეთში კავკასიის ქედზე და მის ძირში მდებარე აფხაზეთის სვანეთზე გადმოვლით. გასულ წელს მთელი სეზონის განმავლობაში აფხაზეთის სვანეთზე გამოვლით სოხუმში ხუთი ათასზე მეტი ტურისტი და ალპინისტი ჩამოვიდა. დღემდე აფხაზეთის სვანეთში შექმნილი არ იყო სათანადო პირობები ტურისტთა მომსახურებისათვის. ტურისტებს აქ თავიანთ ოჯახებში იღებდნენ სტუმართმოყვარე სვანები.

აფხაზეთის ხელმძღვანელმა ორგანოებმა მომავალ სეზონში ტურისტთა უკეთ მომსახურების მიზნით გადასწყვიტეს აფხაზეთის სვანეთში მოაწყონ ტურისტული ბაზა. აფხაზეთის სვანეთის ცალკეულ სოფლებში მოეწყობა ტურისტთა სახლები, ხოლო ცენტრში — აჟარაში აიგება შენობები როგორც ბაზისათვის, ისე კლუბისა და სასადილოსათვის.

კურორტი „ლისის ტბა"

ლისის ტბის ტერიტორიაზე უნდა გაშენდეს კურორტი. [illegible] პერსპექტივა და იმისათვის, რომ ეს განხორციელდეს, თბილისის საბჭომ გადასწყვიტა ლისის ტბის მმართველობისათვის შექმნას ცალკე დირექცია, რომელიც მოუვლის ამ საქმეს, უხელმძღვანელებს მისი ტერიტორიის გამწვანებას, პარკის მოწყობას, ახალ მშენებლობას.

ლისის ტბის დირექციას დავალებული აქვს ტბის სანაპიროებზე დარგოს ფოთლოვანი ჯიშის მცენარეები, მოაწყოს პლიაჟი, გაიყვანოს სარწყავი წყალსადენი და სხვ. თბილისის საბჭოს არქიტექტურული დაგეგმარების სამმართველოს კი დავალა 1 მარტამდე დაამუშაოს დიდი პარკის პროექტი. ეს პარკი გაშენებული იქნება ტბის მახლობლად.

შექმნილია კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ლისის ტბის მომავალი საკურორტო ზონის გამოყოფა.

კურორტების კეთილმოწყობა

თბილისის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილების საკურორტო სამმართველომ თბილისის რაიონის კურორტების კეთილმოსაწყობად მილიონნახევარი მანეთი გამოჰყო.

გათვალისწინებულია წყნეთში, მანგლისსა და კოჯორში მოეწყოს პარკები, შეკეთდეს გზები და საცხოვრებელი სახლები. 1939 წლის პირველ კვარტალში კოჯრის კეთილმოწყობაზე დაიხარჯება 96.300 მანეთი, მანგლისში—85.000 მან. და წყნეთში—65.000 მანეთი.

ფიზკულტურელთა რესპუბლიკური კონფერენცია

თბილისის მასწავლებელთა სახლში სამ დღეს გაგრძელდა ფიზკულტურის მუშაკთა რესპუბლიკური კონფერენცია. 1938 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ა. ჭელიძემ. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსულმა ამხანაგებმა საფუძვლიანად გააკრიტიკეს ფიზკულტურის კომიტეტის მუშაობა და ბევრი საქმიანი წინადადება შეიტანეს.

ფიზკულტურელთა კონფერენციამ მუშაობის გაუმჯობესების მიზნით დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში

ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლი 21 თებერვალს აწყობს:

ქარხანა „ცენტროლიტის" კლუბში ამხ. მოისწრაფიშვილის ლექციას თემაზე: ბრძოლა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის რუსეთში. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის საბჭოს წითელ დარბაზში — ამხ. ათაბეკოვის ლექციას თემაზე: სსრ კავშირის ეკონომიურ-გეოგრაფიული მიმოხილვა. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

26 კომუნარის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში — ამხ. ჭკანელიძის ლექციას თემაზე: „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში". ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

○

25 თებერვალს, საღ. 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში შესდგება პროპაგანდისტთა სემინარის ყველა რგოლის მორიგი მეცადინეობა.

○

ყოველდღიურად ტარდება კონსულტაცია მარქსიზმ-ლენინიზმის, საერთაშორისო და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე პროპაგანდისტებისათვის, მომხსენებლებისათვის, აგიტატორებისა და იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც შეუდგნენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" დამოუკიდებლად შესწავლას.

კონსულტაცია ტარდება დღის 10-დან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე. ქართულ და რუსულ ენებზე.

კონსულტანტთა ტელეფონები:
3—18—46 და 3—61—68.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

სანიტარული კულტურის თეატრი

წლეხანოვის პროსპექტისა და ამოს ქუჩის კუთხეში პატარა, მაგრამ კომფორტაბელურად მოწყობილ სადგომში დაბინავებულა თბილისის საბჭოს ჯანგანყოფილების სანკულტურის თეატრი, რომელსაც რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. ნინიძე ხელმძღვანელობს.

ფრიად საჭირო და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ეს თეატრი. სპეციფიკურ თემატიკაზე აგებული მხატვრული წარმოდგენებით იგი ნერგავს მშრომელ მოსახლეობაში სანიტარიისა და ჰიგიენის კულტურას. ასეთი პრაქტიკული მიზანდასახულობა ხელს არ უშლის თეატრს თავისი წარმოდგენები მაღალი თეატრალური კულტურის მოთხოვნილებას დაუმორჩილოს როგორც რეპერტუარის შერჩევით, ისე მისი სასცენო განსახიერებით.

საბჭოთა მოწინავე თეატრების მიღწევათა გაცნობით, შესწავლითა და ათვისებით თეატრი ახერხებს ერთსა და იმავე დროს მხატვრული განცდებიც მოგვცეს და პოპულარული მეცნიერული ცოდნაც შეგვძინოს, ცალკე მოწყობილ სამუზეუმო კუთხეში თვალსაჩინოდ გამოფენილ ექსპონატებზე როგორც წარმოდგენების დაწყებამდე, ისე დასვენების დროს, შეგვიძლიათ თვალი გადაავლოთ მედიცინის ძირითად დარგებს, სნეულებათა გამომწვევ მიზეზებს და შედეგებს, თან მორიგი ექიმისაგან მოისმინოთ ამხანაგური და ამავე დროს მხატვრულ-მეცნიერული ახსნაგანმარტება და რჩევა-დარიგება. სცენიდანაც წარმოდგენის დროს მცირე მოქმედებათა შუა ასევე მარტივად მორიგი ექიმი (იმ დღეს კონსულტანტობდა ექ. ჩოხელი) მოგითხრობთ მაგალითად, ქუნთრუშით დაავადების, მისი მიმდინარეობის ფორმათა და მკურნალობის საშუალებათა შესახებ.

ეს საუბარი ორგანულად არის დაკავშირებული თვით წარმოდგენასთან რადგანაც ახალგაზრდა დრამატურგი გ. თაქთაქიშვილის პიესა „ხალხის რჩეული" ამ საკითხზეა აგებული.

მისი პიესის მთავარი გმირი საბავშვო დაავადებათა გამომკვლევი ინსტიტუტის ხელმძღვანელი ექიმი ნანო იმხნელი (მსახიობი **დ. მელიქიშვილი**) ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისათვის იბრძვის. ამ საქმეში მას ხელს უწყობს მისი ურთგულესი თანამშრომელი მოხუცი ექიმი მიხეილი (მსახიობი **გ. პავლიაშვილი**). ისინი ენერგიულად მუშაობენ იმისათვის, რომ ჩვენს ბედნიერ ქვეყანაში ადამიანები მხოლოდ ბუნებრივი სიკვდილით—ღრმა მოხუცებულობის გამო იხოცებოდნენ.

ნანოს ახალი გამოგონება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ამ საქმით დაინტერესებულია თვით ბელადი დიდი **სტალინი** და მისი ერთგული მოწაფე ამხანაგი **ლ. ბერია.** ნანო განსაკუთრებული ზრუნვითა და ყურადღებით არის გარემოცული პარტიისა და ხელისუფლების მხრით.

ჯანმრთელობის საქმის პასუხისმგებელი მუშაკი ილია (მსახიობი **ნ. ხორავა**) თავს დასტრიალებს ნანოს და უქმნის სათანადო პირობებს ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის დასამთავრებლად.

ამ დროს ნანოს თავს ატყდება პირადი უბედურება—სწორედ ქუნთრუშით უკვდება ერთადერთი შვილი. ბევრი დრო არ გასულა ამის შემდეგ და მას მეორე უბედურებაც ატყდება თავს. უკვდება ქმარი, ძველი ბოლშევიკი, სამოქალაქო ომში ფილტვებდაზიანებული მუშაკი ლუკა (მსახიობი **ა. მეტრეველი**). პირადმა უბედურებამ შეაფერხა ნანოს მუშაობა. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ პროფესორი მეხუზლა (მსახიობი **ზ. ჭურუშაძე**) რომელიც მისი თანამშრომელია, შურით შესცქერის ნანოს მუშაობას. ის ურწმუნო [illegible], ათასგვარ ჭორებს ავრცელებს ნანოზე, ცდილობს სახელი გაუტეხოს, მას და დასცეს ნანოს ავტორიტეტი საზოგადოებაში. პირადმა უბედურებამ და ამ ინტრიგამ ნანო ლამის სასოწარკვეთილებამდე მიიყვანოს, მან შეანელა მუშაობა. საქმეში ილია ჩაერევა. ის ფარდას ახდის პროფესორ მეხუზლას ინტრიგანობას.

ამის შემდეგ მშრომელები უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენებენ ნანოს იმ დიდი დამსახურებისათვის, რომელიც მას მიუძღვის მედიცინის დარგში.

დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი იხმობს ნანოს მოსკოვში, რომ დაწვრილებით გაეცნოს ახალ გამოგონებას და მუშაობის მიმდინარეობას. ბელადთან შეხვედრამ და მშრომელთა ყურადღებამ უდიდესი გავლენა იქონია ნანოს მდგომარეობაზე. ის განახლებული ენერგიით აგრძელებს მეცნიერულ მუშაობას და ბრწყინვალე გამარჯვებით ამთავრებს მას.

მიზანი მიღწეულია. სიტყვა, რომელიც მისცა ბელადს შეხვედრის დროს ნანომ, შესრულებულია. ასეთია სარეცენზიო პიესის მოკლე შინაარსი.

პიესა პატარ-პატარა ნაკვეთებისაგან (სცენებისაგან) შესდგება, გადატვირთულია მრავალი პრობლემით, ზოგიერთი მათგანი ჯეროვნად დამუშავებული არ არის და ესკიზურ ხასიათს ატარებს. კეთილი სურვილები მეტია, ვიდრე რეალიზებული დებულებანი; მეტყველება უფრო, ვიდრე მოქმედება, რომელიც მხოლოდ მესამე სურათიდან იწყება. მაგრამ მიუხედავად ყველა ამ ნაკლისა, პიესას ახლავს შინაგანი სითბო, გულწრფელობა და ახალი ადამიანების, ახალი ცხოვრების და ურთიერთობის გამოჩინება.

მაყურებელი გრძნობს ცოცხალ ადამიანებს და დღევანდელი ყოფის მაჯისცემას, თეატრი კეთილსინდისიერად მოეპყრობა ნაწარმოებს და სერიოზულად დაუმუშავებია როგორც გაფორმების, ისე შესრულების მხრივ. წარმოდგენა სერიოზული მხატვრული სტაციონარის პროდუქტის შთაბეჭდილებას სტოვებს (დადგმა ეკუთვნის რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს **ვ. ნინიძეს,** მხატვრული გაფორმება **დ. კვირიკაშვილს,** მუსიკა **ვ. კურტიდის**).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თეატრს აქვს საკუთარი ფიზიონომია, რაც მისი კულტუროსნობის მაჩვენებელია. თქვენ არ ატყობთ, რომ იგი განსაკუთრებულ პრეტენზიებს აცხადებს, არც სასცენო და აქტიორული ტრიუკებით ყოფილა გატაცებული თეატრი და ხელოვნურად თავს მაღლა არ სწევს; ამავე დროს პირწმინდა ხელოვნურ შემოქმედებასთან გვაქვს საქმე.

ის თეატრი მახსოვს მისი დაარსების პირველი წლებიდან (1928-29 წ. წ.). მაშინ ის ნახევრად პროფესიონალი არტისტებისაგან შესდგებოდა. დღეს იგი გაზრდილა, დავაჟკაცებულა და გარკვეული მხატვრული სახე მიუღია.

მას თავის რეპერტუარში ჰქონია ნორვეგიის დიდი დრამატურგის ჰ. იბსენის „მოჩვენებანი", რომელშიც რესპ. სახ. არტისტი **ნუცა ჩხეიძე** ღებულობდა მონაწილეობას, კინსგლეის „თეთრხალათიანები", კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი", ორდენოსანი დრამატურგის შალვა დადიანის „აჯილა", გ. ბერძენიშვილის „ოქროს ვერძი" და მრავალი სხვა შესანიშნავი პიესები.

თეატრს ათი წლის განმავლობაში 1.300 წარმოდგენა ჩაუტარებია, მთელი საქართველო რამდენჯერმე მოუვლია, ათი წელია თბილისის მაყურებელს ემსახურება, აქედან 7 წელი მოძრავ პირობებში, ხოლო უკანასკნელი სამი წელი სტაციონარის სახით, მუშა-მოსამსახურეთა ყურადღება და სიყვარული დაუმსახურებია, უკანასკნელი მისი დადგმები ანშლაგით ზედიზედ მიდის. ყოველივე ეს უტყუარი მაჩვენებელია ამ თეატრის ზრდის, წარმატებისა და საჭიროებისა.

აქ. ფალავა.

სანკულტურის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **ვ. ნინიძე;** მსახ. **დ. მელიქიშვილი** ნანოს როლში, მსახ. **ნ. ხორავა** ილიას როლში, მსახ. **გ. პავლიაშვილი** მიხეილის როლში (გ. თაქთაქიშვილის პიესა „ხალხის რჩეული").

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

21/II წარმოდგენა 122	22/II წარმოდგენა 123	23/II წარმოდგენა 124
თოფიანი კაცი	არსენა	ეღანაშაულოდ დამნაშავენი

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო
თეატრი

21/II	კოლმეურნის ქორწინება
22/II	უბრალო გოგონა
23/II	ნაპერწკლიდან

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 ს-მდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის
ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი.

21/II	22/II	23/II
მუდმ. ადგ. ტალ. № 103 აიდა	მუდმ. ადგ. ტალ. № 104 აბ. სერ. № 1 აბესალომ და ეთერი	წარმოდგენა არ არის

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სახცირკი ტელ. 3-11-44 დღეს
დიდი განახლებული პროგრამა
ახალი გასტროლიორები: მსახიობ ელიზაროვების ჯგუფი, მსახიობი კოზლოვა (ვენტრალოგი) და მთელი რიგი სხვა ნომრები
ატრაქციონი ჯგუფი მსახიობებისა აქლემებზე უადირ-გულამ.
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ. სალარო 12 ს-დან 2 საათამდე და 5 საათიდან.

განსახკომის უმაღლეს სასწავლებელთათვის
მოსამზადებელი კურსები
ხსნის ახალ ჯგუფს.
პირობების გაგება: საღ. 6½ საათიდან. საბჭოს ქ. № 75 მე-29 საშ. სკოლა, მე-2 სართული. 1005

ექიმი
მძინარიშვილი
ვენერიული, სიფილისი და კანის სნეულებანი. სქესობრივი სისუსტე (ელექტრონით მკურნალობა), ქალთა და ბავშვთა გონორეა.
ავადმყოფთა მიღება დილის 8-დან 10 საათამდე, საღ. 7—9 ს. ქალების და ბავშვთა, საღ. 6-დან 7 საათ., გრიბოედოვის ქ. № 20, ბინა 57, მე-4 შესავალი, მე-2 სართული.
10—2 908

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ. მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ. მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04 ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი: კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული ე—399